პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 აგვისტო ხუთშაბათი 1969 წელი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 182 (14482)

ლენინურ შრომითს პასუხი

სექტემბრის ანგარიშში

ჟუთაისი. (საკ. კორ.). სატრაქტორო ქარხნის კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის შესრულოს ხუთწლედის დავალება. მიმდინარე წლის შვიდი თვის შედეგები მოწმობენ, რომ ტრაქტორმშენებლები სიტყვას საქმედ აქცევენ. მათ უკვე ერთი თვით გასწრეს დროს და ახლა სექტემბრის ანგარიშში მუშაობენ. განვლილ პერიოდში პროდუქციის გამოშვების დავალება შესრულებულია 116,7 პროცენტით, რეალიზაციისა 118,6 პროცენტით.

ქარხნის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ განკუთვნილი „ტ-16-მრ“ მარკის ათობით ტრაქტორი, „რითონი-2“ მარკის რამდენიმე მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი, აგრეთვე საკიდი და მისაბმელი იარაღები.

დიატომიტი, ერთ-ერთ მუშაკს ბრიგადირობა აქვს...

ახალციხე. (საკ. კორ). აქატ-დიატომიტის მადართა სამმართველოს კოლექტივმა (დირექტორი შ. ბერაძე) შვიდ თვეში ამოიღეს 18.580 ტონა დიატომიტი და შეასრულეს რვა თვის დავალება, მათ ვადამდე გაანაღდეს აგრეთვე აქატის მოპოვების შვიდი თვის დავალება. მოპოვებულია 17.950 კილოგრამი ტექნიკური აქატი ნაცვლად შვიდი თვის გეგმით გათვალისწინებული 17.840 კილოგრამისა. შეუხიბრებამი განსაკუთრებით დაწინაურდნენ ვ. კაპანაძის მნგრეველთა და შ. გოგოლაძის მომპოვებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადები.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). უაირათიანად მუშაობს ვ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი, რომელმაც წელს საშობლოს მისცა მილიონობით მანეთის მოგება, საკმარისია აღინიშნოს, რომ მეტალურგებმა წელს 23.432 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგეს.

ვ. ი. ლენინის საიუბილეო შეჯიბრების სათავეშია პირველსადნობი საამქროს კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი ნ. ჯაფარიძე უძღვება. ქარხანას ჰყავს 78 კომუნისტური შრომის ბრიგადა და 663 კომუნისტური შრომის დამკვრელი. ამ საპატიო წოდებისათვის იბრძვის 142 ბრიგადა და 928 მეტალურგი.

ლენინურ შრომითს ვახტზე დგანან კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. გაჩეჩილაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზ. ბუცხრიკიძე, ლითონის დნობის ოსტატები ნ. ცხოვრებაძე, დ. გორგაძე, ვ. კაპანაძე, ო. დავლაძე, ვ. გელაშვილი და სხვები თავკაცობენ.

თევზეულს იღებს კომბინატი

ფოთი. (საკ. კორ.). ხუთწლედის მეოთხე წელს განსაკუთრებით კარგად შრომობს ფოთის თევზკომბინატის (დირექტორი შ. ფარულავა) კოლექტივი. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში კომბინატელებმა ნედლი თევზეულის მიღების წლიური გეგმა 1 აგვისტოსათვის შესრულეს. მოგებამ გეგმის გადამეტებით 118 ათასი მანეთი შეადგინა.

ამჟამად კომბინატში საშემოდგომოდ მზესამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. ამონტაჟებენ თევზის მიმღებ ტრანსპორტიორს, რომელიც 30 კაცს შეცვლის. მაცივრის ტერიტორიაზე, ნავსადგურის მისადგომებზე მიმდინარეობს ორი ახალი ტიპის ამწეს, ახალი მაცივრის მონტაჟი, მწყობრშია ყინულის ახალი საამქრო.

215.000 ტონა ჩაისათვის

მზიურის პლანტაციებში

გალის რაიონში მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა მოწინავეა. მზიურელებმა წელს 475 ტონა ჩაის ბარისხოვანი ფოთოლი უნდა მისცენ სამშობლოს. ისინი გეგმას სულ მალე გადამეტებით შეასრულებენ. მოწინავეთა შორის არის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული კომკავშირელი მერაიე მიმოზა ჯეჯეია. მიმოზამ ჩაის კრეფის წლიური გეგმა გადამეტებით შეასრულა. დღეში იგი 50-70 კილოგრამ ნედლეულს კრეფს.

* * *

სურათზე: მიმოზა ჯეჯეია.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

შრომაშიც, სწავლაშიც...

ვინ არ იცნობს ზანელ მერაიეს, სოციალისტური შრომის გმირს ტატიანა ტყემუჩავას. შრომისმოყვარეობისათვის, მრავალი წლის მანძილზე შეძენილი გამოცდილების გაზიარებისათვის შეიყვარეს იგი ცხაკაიას რაიონის მშრომელებმა. ტატიანა განსაკუთრებით უყვართ და პატივს სცემენ თავისი მშობლიური სოფლის ზანის ახალგაზრდები.

ტატიანას მოწაფეებს მორის თავი ისახელა მეთვალყურეობელმა გულნაზ ტყემუჩავამ. მუყაითმა ქალიშვილმა არაფერი დაიშურა, რომ თავისი სახელოვანი მასწავლებლისაგან შეეთვისებინა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ჩქარისნული კრეფის მეთოდი. იგი სკოლაშიც ბეჯითად სწავლობს.

სოფლის ამ მოწინავე ახალგაზრდამ — გულნაზი ტყემუჩავამ 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციას სანიმუშოდ მოუარა და ახლა უხვ მოსავალს იღებს, მას ორ ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი აქვს მოკრეფილი, სეზონის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ასობით კილოგრამ ჩაის ნედლეულს მისცემს სამშობლოს.

* * *

სურათზე: გულნაზი ტყემუჩავა.

ფოტო შ. ხარებავასი.

ცხაკაია.

სახალხო კონტროლის ფხიზელი თვალი

ბუგდიდის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში შეიტყეს, რომ ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის საფუარის ქარხანაში დარღვევებია, გეგმებს ვერ ასრულებენ. კომიტეტმა მდგომარეობა შეამოწმა, და გამოარკვია, რომ საწარმომ 1968 წელს სამშობლოს დაკლო 35,7 ტონა საფუარი, ხოლო მიმდინარე წლის მარტო ხუთ თვეში — 65,4 ტონა. კონტროლიორებმა სხვა დარღვევებიც აღმოაჩინეს. აქ 1968 წელს საამქროში დაუშვიათ 18.900 მანეთის გადახარჯვა, წლის ხუთ თვეში კი — 12.100 მანეთისა. გასულ წელს 924 საათით გაადიდეს ნორმით დაშვებული მოცდენები, ხოლო მიმდინარე წელს კიდევ უფრო გააუარესეს მდგომარეობა და ხუთ თვეში 3.240 საათით გაზარდეს მოცდენები.

ასეთი ფაქტები ლაქაა საწარმოო კოლექტივების ცხოვრებაში. სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში მთავარი მიმართულებაა ბრძოლა წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მომჭირნეობისა და უაირათიანობისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წარმოების ახლანდელი მოცულობის დროს ნედლეულის, მასალების, სამუშაო დროის მცირე პროცენტის დაკარგვასაც კი ქვეყნისათვის უდიდესი ზარალი მოაქვს.

ცხოვრებამ უკვე გვიჩვენა, რომ სახალხო კონტროლის წარმატება, მისი შემოწმების, დათვალიერების, რეიდების ქმედითობა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ჯგუფებისა და საგუშაგოების აქტიურობაზე. თუ შემოწმებას აქვს ნამდვილად მასობრივი ხასიათი, თუ თვითონ კონტროლიორები — მუშები, გლეხები, სპეციალისტები — ეძებენ რეზერვებს და ეხმარებიან მათს გამოყენებაში, აქტიურად იბრძვიან ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, მაშინ ასეთ შემოწმებას, რა თქმა უნდა, საგრძნობი შედეგები მოაქვს. აი რატომ არის, რომ, ხელმძღვანელობენ რა სახალხო კონტროლს, პარტიულმა ორგანიზაციებმა უწინარეს ყოვლისა უნდა იზრუნონ მისი საზოგადოებრივი საფუძვლის განვითარებისათვის. მათი რიგების მუდმივი ზრდისათვის, იქ, სადაც მუდამ ახსოვთ ეს, საქმე წარმატებით მიდის.

ახლა ძნელად მოძებნება სახალხო მეურნეობის ისეთი უბანი, სადაც არ სწვდებოდეს სახალხო კონტროლის მუშაკთა ფხიზელი თვალი და გამჭრიახი გონება. ისინი დროზე ავლინებენ ნაკლოვანებებს და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, ულმობლად ებრძვიან სახელმწიფო ქონების მიმთვისებლებს.

ჭიათურის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში მოვიდა მაცხლებელი წერილი, რომლითაც იტყობინებოდნენ, რომ სოფელ ცხრაყვეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორი გ. ჩინჩალაძე თვითნებობს, ითვისებს სასკოლო ინვენტარს, სახელმწიფო მასალებს.

კონტროლიორებმა წერილში აღნიშნული ფაქტები შეისწავლეს. გამოირკვა, რომ სკოლის დირექტორმა გ. ჩინჩალაძემ და საშუშაოთა მწარმოებელმა ბ. ბერეგავაძემ სასკოლო შენობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებთან მიითვისეს 6,71 კუბური მეტრი ხის მასალა, 22,4 კუბური მეტრი შეშა. სკოლის დირექტორმა შეაღგინა ყალბი საბუღალტრო ანგარიშები, თითქოს წყლის გაყვანის სამუშაოებზე დახარჯა 194 მანეთი. აღნიშნული თანხა თვალუყურის ნაკლებობის სალაროდან გამოიტანა და მითვისა.

სახალხო კონტროლის ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა ხელის დირექტორი გ. ჩინჩალაძე თანამდებობიდან გადაყენა, ხოლო სხვა დამნაშავე პირებს სათანადო სასჯელი დაადო.

ახალციხის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა, შეისწავლა რაიონის სკოლებში მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურებისა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. გამოირკვა, რომ სკოლებს არ ჰყოფნით ფართობი, ზოგიერთი სკოლა ავარიულია, ბევრი მოსწავლე ზის მათი ასაკისა და ფიზიკური განვითარებისათვის შეუფერებელ მერხებზე, სასკოლო ინვენტარი არასტანდარტულია, თითქმის არც ერთ სკოლას არა აქვს პალტოების გასახდელი ოთახი, სასმელი წყალი, ეშვიათად ეწყობა მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმება, რაიონის მთელ რიგ სკოლებში არ არის სათანადო განათება, თითქმის ყველა სკოლაში სწავლა ორ ცვლად წარმოებს.

სახალხო კონტროლის კომიტეტმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი და რაიხიბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებას დავალა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გამოასწოროს არსებული ნაკლოვანებები, მოსწავლეებს შეუქმნას მეცადინეობის ნორმალური პირობები.

მაგრამ სახალხო კონტროლის ორგანოები ჯერ კიდევ ყველგან მთელი პრინციპულობით როდი იბრძვიან მეურნეობებში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, საწარმოო გეგმების შესრულებისათვის. მაგალითად, ჩოხატაურის რაიონის ბურნათის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფს დღემდე ბევრი არაფერი გაუკეთებია. იშვიათად იწვევენ ჯგუფის წევრთა კრებებს, არ შეუმოწმებიათ კოლმეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებული მდგომარეობა, არ იგრძნობა ჯგუფის ზრუნვა შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის. ცხადია, ასეთმა გულგრილმა დამრკალებულებამ უაღრესფითი გავლენა მოახდინა სამეურნეო შედეგებზე. მარშან კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფისა და ჩაის პლანტაციის გაშენების გეგმები, ჩამორჩა მეურნეობის სხვა დარგებიც.

ზოგან სახალხო კონტროლის ორგანოების სუსტი მუშაობა იმით არის გამოწვეული, რომ პარტიული ორგანიზაციები ღრმად ვერ სწვდებიან კონტროლიორების მუშაობას, ხშირად ჯეროვნად ვერ აფასებენ მათს როლს. ზოგიერთი პრტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი თავის მოვალეობად არ თვლის მხარი დაუჭიროს სახალხო მეთვალთვალის სწორ წინადადებას, სასარგებლო ინიციატივას.

თვითეული პარტიული ორგანიზაციის უშუალო მოვალეობა ის არის, რომ ყოველდღიურად და საქმის ცოდნით უხელმძღვანელოს სახალხო კონტროლს, იბრძოლოს იმისათვის, რომ ეს კონტროლი სულ უფრო მასობრივი, საჯარო, შედეგიანი ხდებოდეს. სიხტეშატურად უნდა განვიხილავდეთ კომიტეტებისა და ჯგუფების გეგმებს, ვისმენდეთ მათს ანგარიშებს, ვუსახავდეთ კონკრეტულ ამოცანებს, ვაგვარებდეთ სწავლასა და ინსტრუქტაჟს. ამასთან მტკიცედ უნდა დავიცვათ სახალხო კონტროლიორები, თუ მათ წინააღმდეგ ილაშქრებენ „მუნდირის ღირსების“ დამცველები, ბიუროკრატები, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლები.

საბჭოთა ადამიანები ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. დღესასწაულის წინ პარტია მშრომელებს მოუწოდებს იბრძოლონ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ნაკლური ვალდებულებების განაღდებისათვის. ამ ამოცანის შესრულებაში დიდია სახალხო მზვერავების — ჩვენი საზოგადოების მოწინავე ადამიანების როლი. მათზე ზრუნვა, მათთვის მუდმივი მხარდაჭერა ღვიძლი პარტიული საქმეა. სახალხო კონტროლის ძალა სწორი პარტიული ხელმძღვანელობაა.

სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიაში

5 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის მორიგი სხდომა. თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ი. ნ. ზემსკოვი — კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიამ განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის მომავალ დღესასწაულან დაკავშირებულ ღონისძიებათა გეგმა.

განიხილეს აგრეთვე საკითხები საბჭოთა ორგანიზაციების მონაწილეობისა იუნესკოს საქმიანობაში მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში და 1970 წელს.

ბელადის ნაწარმოებთა კრებული

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი „ვ. ი. ლენინი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ“. წიგნში მოთავსებულია ბელადის ძირითადი ნაწარმოებები, სტატიები, სიტყვები, მათი ნაწყვეტები, რომლებშიც ფართოდ გაშუქებულია, თუ როგორ დაამუშავა ლენინმა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის საკითხი, ის ძალა, რომელმაც დაამხო მეფის თვითმპყრობელობა, აამაღა სოციალიზმი, დაიცვა მისი მონაპოვარნი.

კრებულის მასალები განლაგებულია ქრონოლოგიურად, რაც საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ლენინის აზრის განვითარებას. ყველა ნაშრომი მოცემულია ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის მიხედვით. გამოცემას დართული აქვს შენიშვნები და საგნობრივი სახელებელი.

წიგნი გათვალისწინებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრობლემების ყველა შემსწავლელთათვის.

(საკდესის კორ.).

ულიდესი — შუა აზიაში

ტოკატოგულის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე ამენდა შუა აზიაში უდიდესი ხრეშის დამზარისხებელი ქარხანა. იგი წელიწადში გამოუშვებს 1,8 მილიონ კუბურ მეტრ საშენ მასალას.

(საკდესის კორ.).

ფრუნზე.

დიად თარიღს — ღირსეული შეხვედრა

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კლენუმი

◆

ბაკო, 5 აგვისტო (საკდესის კორ.). დღეს ბაკოში გაიმართა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების საკითხი. პლენუმზე მოხსენება გააკეთა „ზაზრაბიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. ალიევმა.

მომხსენებელმა დაასაბუთა, რომ ოფიციალურ ორატორებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიადი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის, რომელიც ემთხვევა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 50 წლისთავს. რესპუბლიკაში წარმატებით შესრულდა მრეწველობის პროდუქციის ოდენობის წლის პირველი ნახევრის გეგმა.

ამასთან პლენუმზე აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი იჩენს საკმაოდ აქტიურობას პასუხსაგებ ამოცანათა შესასრულებლად მშრომელთა დასაზმვისათვის.

მოხსენებულ დადგენილებაში პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც აღმოფხვრიან ნაკლოვანებებს და უზრუნველყოფენ ილიჩის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრას.

ბრძოლა „სეიფჰარდის“ გამო

ვაშინგტონი, 5 აგვისტო. (საკდესი). კაპიტოლიუმის მაღლობზე გადამწყვეტ სტადიაში შევიდა ბრძოლა ადმინისტრაციის იმ განზრახვის გამო, რომ შემოიღოს „სეიფჰარდის“ რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა. გუშინ კონგრესში დემოკრატმა სენატორმა მაკპოვერმა მოუწოდა „უარყონ ეს უგუნური წინადადება“. ვიეტნამის ომის მსგავსად, „სეიფჰარდიც“ „უძირო ჯასრი“ გახდა შეერთებული შტატებისათვის, განაცხადა მან.

სენატორმა ჩ. მეტაიესმა აგრეთვე აღნიშნა მთავრობის უაზრო და ძვირადღირებული წამოწყების ხასიათი.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა გააკრიტიკა პენტაგონი, რომელიც ცდილობს შექმნას რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა.

კენჭისყრა, რომელიც უნდა გადაწყვეტოს მთავრობის გეგმის ბედი, განზრახულია 6 აგვისტოსათვის.

ხანძარი პასეიიკის ქუჩებში

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის ქალაქ პასეიიკის ქუჩებში (ნიუ-ჯერსის შტატი) მეორე დღეა გაისის სოფლა და ბობოკრობს ხანძარი, სკდება თვითნაკეთი ცეცხლგამჩენი ყუმბარები. ქალაქის მთელი პოლიცია „საბრძოლო მზადყოფნაშია“, პოლიციელთა კორდონებმა ალყა შემოარტყეს პუერტო-რიკოელთა ოთხ უბანს — აჯანყების მთავარ კერას.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთმა ადგილობრივმა სახლის მეპატრონემ ქუჩაში გადგდო მის სახლში მცხოვრები პუერტორიკოელი ქალი — თერთმეტი შვილის დედა. სახლის მეპატრონის არაადამიანური საქციელის ამბავი მაშინვე მოედო ქალაქს. მრავალშვილიანი დედას პასეიიკის თითქმის მთელი პუერტორიკოელი მოსახლეობა გამოესარჩლა.

ზეიმი ბლუაში

პარიზი, 5 აგვისტო. (საკდესი). ქალაქ ბლუას (ლუარ ი მერრი დეპარტამენტი) 5 ათასმა მცხოვრებმა მრავალრიცხოვანობა სახალხო ზეიმში, რომელიც მოაწყო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ადგილობრივმა ფედერაციამ.

ზეიმის მონაწილეთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, როგელ ულლერიმ. ზეიმი დროს კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური ახალგაზრდობის მეორეობის რიგებს შეემატა 29 მონაწილე.

ხიროსიმას ახსოვს

ტოკიო, 6 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ლ. ვოლნოვი გვატყობინებს:

დღეს ფილიპინის „მეცადინეობის პარკში“ გაიმართა საბჭოთა-ამერიკული ერთობლივი ეკლესიური, რომელიც მიეძღვნა ამერიკის ატომური ბომბის ატეხვების 24 წლისთავს. ამ ატომურმა ბომბმა, და მეორე ბომბმა, რომელიც სამი დღის შემდეგ, ნაგასაკიში ჩამოაგდეს, იმსხვერპლა ასათასობით ადამიანი. ცერემონიის ესწრებოდა დაახლოებით 50 ათასი კაცი.

ცერემონია გახსნა ხიროსიმის მერმა სეცუო ოიმადამ.

ქალაქის მერმა „შეკრებილთ წაუკითხა „მშვიდობის დეკლარაცია“.



ბელადის ანგარიშში

ბაკურიანი. (საკ. კორ.).

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანის ბალნეოლოგიურ კურორტზე ბევრი ფიზიკოსი, ექიმი, ინჟინერ-ტექნიკოსი, ბიოლოგი, ქიმიკოს

ПАРТИЦУЛИ ЦХОВРЕБА

გადაწყვეტილება და საქმე

ასე ამოწმებს პარტიის ყვარლის რაიკომი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას

ბოლშევიზმის, უველა მშრომელნი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოებისაგან მოითხოვენ საქმის, საფუძვლიან სიტყვას მრავალი საკითხის შესახებ. და ეს საქმიანი, საფუძვლიანი სიტყვა მათი კონკრეტული გადაწყვეტილებაა. მაგრამ ცნობილია, რომ თვით ყველაზე რეალური გეგმები და ვალდებულებანიც შეიძლება განუხორციელებელი დარჩეს, თუ მიღებულ გადაწყვეტილებებს არ მოპყვა ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ სისტემატურად მოვაწყობთ შესრულების შემოწმებას, თუ ყოველთვის გვეცოდინება: როგორ სრულდება გადაწყვეტილება, ვინ ან რა უშლის ხელს.

კარგად დაყენებული შესრულების შემოწმება ნიშნავს: უზრუნველყოფდე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა განუხრელად განხორციელებას, ზრდიდე კადრებს მაღალი პრინციპულობისა და საქმიანობის სულისკვეთებით, განამტკიცებდე დისციპლინასა და ორგანიზებულობას, ავითარებდე შემოქმედებითს ინიციატივას, ულმობლად ებრძოდე ბიუროკრატიზმს, კანცელარიულობას, უძრაობასა და რუტინას.

„ადამიანთა შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ეს, კიდევ ეს, მხოლოდ ეს არის ამჟამად მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის ღერძი“. დიდი ლენინის ეს სიტყვები დღესაც მთელი ძალით ყღერს. ისინი გზას უნათებენ პარტიულ ორგანიზაციებს, მათს ხელმძღვანელ ორგანოებს მრავალმხრივ ორგანიზატორულ მუშაობაში.

ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXIII ყრილობაზე აღნიშნა, რომ შესრულების კარგად მოწყობილი შემოწმება კადრების სწორი აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. იგი უნდა წარმოებდეს სისტემატურად, ეხმარებოდეს შეცდომების გამოსწორებას, დასახული ამოცანების უკეთესი, უველაზე სწორი გადაჭრის გზების გამნახვას.

პარტიის ყვარლის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ მუშაობაში განუხრელად ხელმძღვანელობენ ამ მითითებებით, დიდ ყურადღებას აქცევენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებასა და კონტროლს.

მრავალი წლის პრაქტიკული მუშაობა ცხადყოფს, რომ პარტიული გადაწყვეტილების შესრულების გარანტია ისახება მაშინ, როცა იგი მუშავდება. ამიტომ უურადღებას ვაქცევთ განსახილველი საკითხის შესწავლას, დადგენილებების შინაარსის შემუშავებას. მათში მოცემულია საქმის ვითარების შეფასება, მოვლენების, მდგომარეობის ღრმა, სწორი ანალიზი, ნათლად არის ჩამოყალიბებული ამოცანები, შესრულების გზები და საშუალებები. გარდა ამისა, დადგენილებაში კონკრეტულად არის ნაჩვენები ამა თუ იმ ამოცანის შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა, დავალების ხასიათი, შესრულების ვადა. მხოლოდ ასეთი დადგენილება საშუალებას გვაძლევს დავწერეთ მტკიცე კონტროლი მისი შესრულების მიმდინარეობაზე.

პარტიის რაიკომის ბიურო სხდომებსა და პლენუმებზე რეგულარულად განიხილავს მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმების შედეგებს და იღებს გადამჭრელ ზომებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

დადგენილებათა შესრულების შემოწმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად მიგვაჩნია პასუხისმგებელ მუშაკთა ანგარიშების მოსმენა ამა თუ იმ გადაწყვეტილების შესრულებისათვის გაწეული საქმითნობის შესახებ. მაგალითად, ამას წინათ პარტიის რაიკომის ბიუროზე მოსმენილ იქნა ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ანგარიში კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების შესახებ. გამოირკვა, რომ საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია, რომელიც იბრძოდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჯეროვან უურადღებას უთმობდა კოლმეურნეობაში კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერებას, უნარიანად ანაწილებდა კომუნისტებს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. მაგრამ პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში მიღწევებთან ერთად ნაკლოვანებებიც იყო. სამანადო უურადღება არ ექცეოდა კომუნისტებისათვის მიცემულ დავალებათა შესრულების შემოწმებას. პარტიული ორგანიზაცია მთელი შესაძლებლობით არ იბრძოდა წარმოებაში კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებისათვის. ბიურომ დასახა ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

პარტიის რაიკომის ბიურომ, მოისმინა ანგრეთვე სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის უყარლის რაიკომის ანგარიში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ამ საკითხზეც რაიკომის ბიუროს მიერ მიღებული დადგენილება დაეხმარა სოფლის მშრომელებს გაეძლიერებინათ ბრძოლა სახელოვანი იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის.

წელს რაიკომის პერსპექტიული სამუშაო გეგმით რაიკომის პლენუმზე მოვისმენთ ყვარლის ქინძმარაულის მეფეენახეობის საბჭოთა მეურნეობისა და ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ანგარიშებს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

პარტიული დადგენილებ ი ს პრაქტიკულად შესრულებას საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამა თუ იმ საკითხის დროულად განხილვას, საკითხთა ჯგუფიდან მთავარის შერჩევას და უზრნარეს ყოველისა მისი განხორციელებისათვის ბრძოლას.

ამ მიზნით ვცდილობთ რაიკომის აპარატის მუშაკთა რაც შეიძლება მეტი დროით დასაქმებას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. ეს საშუალებას აძლევს მათ დეტალურად კვლევონ ამ დარგების შესაძლებლობებს, შრომის ორგანიზაციის დონეს და გამოუყენებელ რეზერვებს.

საზოგადოებრივი მეურნეობები და საწარმო-დაწესებულებები დაყოფილი გვაქვს ზონებად. თვითეულ ზონაზე მიმაგრებულია ინსტრუქტორი. ადგილებზე პასუხისმგებელ მუშაკთა ზნრად ყოფნა საშუალებას აძლევს რაიკომს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს ადგილებზე, დროულად დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს მათ წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულებაში.

პარტიის რაიკომი თავისი აპარატის მუშაკთაგან მოელი პრინციპულობით მოითხოვს კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის არა მარტო შემოწმებას, არამედ პრაქტიკულად დახმარებასაც, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამან არ გამოიწვიოს ადგილობრივ სამეურნეო და პარტიულ მუშაკთა როლის დაკნინება, მათი ფუნქციების შეცვლა.

რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი „კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და დახმარების თაობაზე“ საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის ბიუროს 1968 წლის 27 თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. მან სასურველი შედეგი მოიყვანა. პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს კომკავშირისადმი დახმარება და ხელმძღვანელობა, უფრო სრულყოფილი გახდა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ფორმები და მეთოდები. და ეს იმიტომ, რომ დადგენილებას მოყვა ცოცხალი ორგანიზატორული საქმე, კომკავშირის რაიკომის მუშაკებს მხარში ამოუდგნენ პარტიის რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორები, ზონების ინსტრუქტორები, პარტიული აქტივისტები.

დადგენილებათა შესრულების უზრუნველყოფა დამოკიდებულია მათს რეალობაზე. შეიძლება დაიწეროს საუკეთესოდ შედგენილი რეზოლუციები, მაგრამ თუ მათი შედგენის დროს გათვალისწინებული არ არის ამა თუ იმ ორგანიზაციის შესაძლებლობები, მაშინ მათი განხორციელება თავიდანვე კითხვის ნიშანქვეშ დგება.

ამიტომ, როცა ამა თუ იმ საკითხზე დადგენილებას ვამზადებთ, მის შედგენა-დამუშავებაში ვიბამთ სპეციალისტებს, რომლებიც ადგილებზე კონკრეტულად სწავლობენ შექმნილ ვითარებას და სათანადო რეკომენდაციებს გვაძლევენ.

სავსებით ბუნებრივია, რომ პარტიის რაიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ზემდგომი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას. როგორც წესი, აღნიშნულ დადგენილებებს განვიხილავთ რაიონული კომიტეტის პლენუმებსა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, ვსახავთ მათი განხორციელების გზებსა და საშუალებებს.

პრაქტიკაში ვიყენებთ პარტიული დადგენილებების შესრულების შემოწმების სხვადასხვა ფორმას (აქ, რა თქმა უნდა, სტანდარტი არ არსებობს). მაგალითისათვის ავიღოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოწყობის შესახებ მიღებული დადგენილებები. თუ საგაზაფხულო კულტურების თესვის შესახებ მიღებული დადგენილების შესრულებას შევამოწმებთ მაშინ, როცა ამ დადგენილების შესრულებას ვადა გაუვა, ფაქტიურად იგი ვერავითარ სარგებლობას ვეღარ მოიტანს; ამიტომ ასეთ შემთხვევაში კოლმეურნეობათა გამგეობებს, პარტიულ ორგანიზაციებს, სპეციალისტებს ვაძლევთ კონკრეტულ დავალებას გარკვეულ პერიოდში მოგვაწოდონ მოკლე ცნობები მათ მიერ შესასრულებელ და შესრულებულ საქმეებზე.

შემოწმების ასეთი ფორმა ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს. ეს არის შემოწმების საუცხო ნიმუში, რომელიც დიდ დროს არ ართმევს მუშაკს გაერკვეს საქმის ვითარებაში და საჭიროების შემთხვევაში დროულად მიიღოს გადამწყვეტი ზომები შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

შარშან რაიკომის ბიუროზე არაერთი სხვადასხვა პარტიული დადგენილების შესრულების ჩიმდინარეობა განვიხილეთ. დადგენილების შესრულების შემოწმება ყოველთვის საკადრესოა, მაგრამ ბიუროს სხდომაზე შესრულების მიმდინარეობის განხილვა მითუმეტეს საჭიროა მაშინ, როცა იგი არ სრულდება.

მუშაობაში დანერგილი გვაქვს შემოწმების კიდევ ერთი, მეტად პრაქტიკული ფორმა. პირველად პარტიულ ორგანიზაციებში შემოღებულია სპეციალური ყურნალები. ადგილებზე მისული რაიკომის მუშაკები, რომლებიც ამოწმებენ ამა თუ იმ საკითხს, ამ ყურნალებში წერენ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა შესახებ.

შემდეგ, როცა იმავე პარტიულ ორგანიზაციებში კვლავ მივდიან პარტიული მუშაკები, ისინი ამოწმებენ თუ რა გაკეთდა ყურნალში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

შემოწმების ასეთი მეთოდი მეტად კონკრეტულია და არსებითად ზრდის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების პასუხისმგებლობას საქმის მდგომარეობისათვის.

რაიკომი ხშირად უბრუნდება რაიონული პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს, ამოწმებს მათში დასახული პუნქტების შესრულებას.

შესრულების შემოწმება და კონტროლი განუყოფელად დაკავშირებულია კადრების შერჩევის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან. შემოწმების შედეგებმა ხელი უნდა შეუწყოს პასუხსაგებ პოსტზე ახალი ადამიანების წამოყენებას, რომლებსაც უნარი შესწევთ აამოქმედონ წარმოების ზრდის ახალი რეზერვები.

მაგრამ ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მუშაობაში ჩრდილოვანი მხარეები არ იყოს. სამწუხაროდ, ზოგან ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი ისეთი პრაქტიკა, როცა გადაწყვეტილებებს ადგენენ წინასწარ მოუმზადებლად, ადგილზე საქმის ნამდვილი მდგომარეობის გაუთვალისწინებლად.

იშვიათი არ არის ისეთი ფაქტები, როცა პარტიული კრებები კომუნისტთა არასაკმაო აქტივობით ეწყობა. აქა-იქ გვხვდება საქმეურნეო მუშაკთა წვრილმანი შეურაცვიობის არასწორი პრაქტიკაც.

რადგანაც შესრულების შემოწმების მდგომარეობა უწინარეს ყოვლისა ფასდება საქმის მდგომარეობის მიხედვით, მაშინ თავს უფლებას ვაძლევთ ვთქვათ: გასული სამეურნეო წელი წარმატებით დავამთავრეთ და ამ წლის ექვსი თვის მაჩვენებლები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აღებული ტემპი შენარჩუნებულ იქნება.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავამდე რვათვენახუვარიღა დარჩა. ახლა რაიონის მშრომელთა მთელი ფიქრი და პრაქტიკული საქმეები მომართულია იქითკენ, რომ ახალი შრომითი საჩუქრები მიუძღვნან ამ სახელოვან იუბილეს.

გ. ზაუტაშვილი,
საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი.

დირექტორის ტრიბუნა

საწარმოს ეროვნული მიდგომა

ლენინის დაბადების 100 წლისთავის დიად თარიღთან დაკავშირებით გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ფარფოდ არის ჩაბმული თბილისს ამრეშვილის საქსოვი ფაბრიკის ორიათასამეანი კოლექტივიც. მან გასული წლის მეოთხე მეოთხედის მიხედვით მსუბუქი მრეწველობის მოწინავე საწარმოთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიკავა. ხუთწლედის მესამე წელი მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩვენი ფაბრიკის კოლექტივისათვის, მოპოვებულ იქნა ძალმეველოვანი წარმატებები. პირველ და მეორე კვარტალებში საწარმო გამარჯვებული გამოვიდა სოციალისტურ შეჯიბრებაში რეპუბლიკის მასშტაბით. ეს წარმატება კიდევ უფრო განმტკიცდა მომდევნო მესამე მეოთხე კვარტალებში; ამიტომ საწარმომ საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურა.

არანაკლებ წარმატებებს მიგაღწიეთ ხუთწლედის მეოთხე წელს. პირველ და მეორე კვარტალში ფაბრიკის კოლექტივმა შესანიშნავად იშრომა და კვლავ შეინარჩუნა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა, ამ ეტაპზე საწარმოში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ამიტომაც არის, რომ დღეს მომხმარებლებში დიდი მოწონებით სარგებლობს ჩვენი ფაბრიკის მიერ გამომშვებული ქსოვილები „ვანთილი“, „დამასე“, „აისი“ და აგრეთვე მთელი რიგი სხვა არტიკულის აბრეშუმის ნაწარმი.

ჩვენ საქმიანობა სერიოზულ სირთულეთა გადალახვასთან არის დაკავშირებული, იგი, გამოირჩევა დიდი ასორტიმენტითა და მრავალი ტექნოლოგიური პროცესით. ნომენკლატურის სეზონის მიხედვით ცვლილება გარკვეულ დაღს ასვამს საწარმოში შრომის ნაყოფიერების ზრდას. მიუხედავად ამისა, ეს მაჩვენებელი ჩვენთან ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, 1966 წელს 1965 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 9,2 პროცენტით გაიზარდა. 1967 წელს ამ ციფრმა 14,2 პროცენტს მიაღწია, ხოლო 1969 წელს — 17,5 პროცენტს.

საწარმოში განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმეთ ტექნიკური პროგრესის დახერგვას. სამეოცე საამქროში სამესი მანქანების 32,7 პროცენტი ახლით შეეცვალეთ, უახლესი მანქანები დაეამონტაჟეთ ფაბრიკის სხვა წამყვან უბნებზე. გავაფართოეთ სამეშაოები საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და შიდა საფაბრიკო გადაზიდვის მექანიზაციისათვის. ამჟამად ჩვენთან მძიმე სამუშაოთა მთელი მოცულობის 80-90 პროცენტი მექანიზებულია.

ახალი ტექნიკის დანერგვის აუცილებლობა ჩვენთან დღესაც მთელი სიმწვავით იგრძნობა. საქსოვ წარმოებაში მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მანქანების ხვედრითი წონა ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია. ეს მაჩვენებელი 47,3 პროცენტს აღწევს. მომდინარე წელს ამ მხრივ ფაბრიკაში ბევრი რამ გაკეთდება. საქსოვ-წარმოებაში უახლეს უსმაურო, მაღალი წარმადობის 76 მანქანას დაეამონტაჟებთ. თუ ამჟამად მოქმედი საქსოვი მანქანები საათში 3 მეტრ ქსოვილს გვაძლევენ, ახალი მანქანები საათში 6-ჯერ მეტ პროდუქციას გამოუშვებენ. სამღებრო-გამომცემელ წარმოებაშიც ახალი ტექნიკის დანერგვით წელიწადს საგრძნობლად გაეაფართოებთ პროდუქციის ასორტიმენტს, ავამაღლებთ ხარისხს.

სააპრეტურო საამქროში დამონტაჟდა ქსოვილის გამომყვანი კალანდრი, რომელიც საფრანგეთიდან მივიღეთ. უახლოეს ხანში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ორი ცალი ყონდიციონერი, რომლებიც მკვეთრად გააუმჯობესებენ მუშათა შრომის პირობებს. ჩვენი წარმოების ტექნიკური არსენალის გაახალგაზრდავებაში, და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში დიდი წვლილი შეაქვთ ფაბრიკის ნოვატორებს. ხუთწლედისათვის ნაკისრი 184 რაციონალიზატორული წინადადების ნაცვლად უკვე დახერგილია 232 წინადადება და გეგმის გადამეტებით ხუთწლედის ეკონომიის ფონდში შეტანილია 540 ათასი მანეთი. მიღებულია ფაბრიკაში რაციონალიზატორთა რიცხვი. თუ 1966 წლისათვის ფაბრიკის ყოველ 100 მუშა-მოსამსახურეზე 2,5 რაციონალიზატორი ძოდიოდა, 1967 წელს ეს ციფრი 3,2-მდე გაიზარდა, ხოლო 1968 წლისათვის — 4,5-მდე. ფაბრიკის მოწინავე რაციონალიზატორების ვ. თევდორაძის, თ. ურუმაძის, გ. დოლაძის, ნ. გოგუაძ, ნ. გაბიჩვაძის და სხვათა თავდადებული მუშაობის შედეგია, რომ მარძან ძეორე და მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით ფაბრიკას მიენიჭა „რაციონალიზაციისა და გამოგონებლობის მხრივ საუკეთესო საწარმოს“ სატიტო სახელი.

თბილისში ძალავი სამეცნიერო ერა არსებობს, მათ შორის ჩვენი განხრის ინსტიტუტებიც. სამწუხაროდ, ჩვენს წარმოებასა და მათს შორის ჯეროვანი კავშირი ვერ იქნა და ვერ დამყარდა. ცხოვრება კი დაეინებით მოითხოვს მათ შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას. საწარმოებს დღეს მრავალი პრობლემური საკითხის გადაჭრა უხდებათ. მაგალითად, სარატოველთა სისტემის დანერგვა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის გეგმის შემუშავება, შიდასაფაბრიკო სოციალისტური გამოკვლევის ჩატარება და სხვ. მათს გადაწყვეტას საგრძნობლად გაგვაადვილებდა დიდაქალაქის მეცნიერებთან ურთიერთობა.

ყველასათვის ცნობილია, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდაზე არსებით გავლენას ახდენს წარმოების კულტურა, კადრების კვალიფიკაცია, ორგანიზებულობა და დისციპლინა, მუშათა შრომისა და დასვენების პირობები. ამიტომ ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ყველა ამ საკითხს, მრავალი ღონისძიება ხორციელდება მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე არსებითი გავლენა მოახდინა დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლამ. უკვე ორი წელია, რაც ფაბრიკა ახალ პირობებში მუშაობს. მუშა-მოსამსახურეთა პირობები ამ დროის მონაკვეთში საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ რამდენიმე მრავლისმეტყველ ფაქტს. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი 1966 წელთან შედარებით გაიზარდა 15,8 პროცენტით. შრომან მატერიალური წახალისების ფონდიდან პრემია სა და ჯილდოს სახით გაიცა 254,0 ათასი მანეთი. მესაქე ცვლას უფასოდ ეკეთებათ

ასეთი შეღავათი მიიღეს არა მარტო ღამის საათებში მომუშავე ქალებმა. ჩვენთან უფასოდ საღილობს ბევრი მარტხელა ოჯახი და ბავშვებისფასიანი მუშა. ზეკეულს წარმრეების ბინვითარების ფონდიდან დიდი თანხა გამოვყავით საწარმოს რაკეტიმე ეზნის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის.

აბრეშუმის ნაქსოვ ფაბრიკაში ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის ყველა ამბს ნათელსაყოფად მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ციფრს. ხუთწლედის 3 წლის პროდუქციის გამოშვების გეგმა 116.1 პროცენტით შეკასრულეს. წარმატება მიღწეულია მოწინავე ადამიანების ნაყოფიერი შრომის შედეგად. განსაკუთრებით თავი ისახელეს ჩვენმა ნოვატორებმა ე. სოლომონამ, ე. გვრიტიშვილმა, ვ. ბეგეშიძემ, ლ. ვიბლიანმა, ფაბრიკის კოლექტივი უკვე კომუნისტური შრომის საწარმოა.

ჩვენი დევიზია დამკვრელური შრომით აღვნიშნოთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავამდე დარჩენილი დრო. გვჯერა, რომ ფაბრიკის შრომისმოყვარე კოლექტივი ღირსეულად შეასრულებს საიუბილეოდ ნაკისრ ვალდებულებებს.

ლ. დოლიძე,
თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორი.

ნერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

ამას წინათ რედაქციამ მიიღო მამხილებელი ნერილი, რომელშიც ავტორი ამხილებდა თბილპურვაჭრობის № 187 მაღაზიაში ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტებს.

აღნიშნული ნერილი სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნა თბილპურვაჭრობის დირექციას. როგორც თბილპურვაჭრობის დირექტორის მოადგილე ი. ტატიშვილი გვატყობინებს, ნერილში დასახელებული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა, გამყიდველ დ. გვანცელაძეს პროდუქციის გაყიდვისას წონაში დაკლებისათვის გამოეცხადა საყვედური, ხოლო გამყიდველ ი. ხუნელაშვილს მომხმარებლისათვის ხურდა ფულის მიუცემლობის გამო — სასტიკი საყვედური.

მაღაზიის გამგეს მ. ეიფიაშვილს თანამშრომლების მუშაობისადმი სუსტი კონტროლისათვის სასტიკი საყვედური გამოეცხადა.

ПАРТИЦУЛИ ЦХОВРЕБА

როგორ ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის?

აშენებენ ჭიათურელები

ქართული მარგანეცის ქალაქის მშრომელები ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე სკოლებით გასებივრებული როდი იყვნენ, მრეწველთა სამჭოს მოწყალებით აქა-იქ ხსნიდნენ ორ თუ ოთხკლასიან სკოლებს, რომლებიც დაქირავებულ ბინებში იყო. სამი ათეული წლის წინათაც ქალაქის ცენტრში იყო ერთადერთი სკოლა, სადაც სალომოს მუშფაკულებიც სწავლობდნენ...

ახლა ჭიათურასა და მის სოფლებში არის 21 საშუალო, 26 რვაწლიანი, 24 დაწყებითი სკოლა და 8 სკოლამდელი დაწესებულება. ბოლო ხანს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას. სკოლებზე მეტი ზრუნვის დამადასტურებელია, რომ ბოლო ორ წელს სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და სასწავლო წლისათვის სანიმუშოდ მომზადებისათვის ქ. ჭიათურამ ორჯერ ზედიზედ დაიმსახურა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ახლა გაჩაღებულია შრომა, რომ დროშა წელსაც შეინარჩუნონ და სამუდამოდ დაისაკუთრონ.

ქალაქის ცენტრში, მდინარე ყვირილის მარცხენა მხარეზე მთავრდება მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ახალი ტიპური შენობა. მას მარგანტრესტი აფინანსებს, ხოლო ბინათმშენებლობის სამმართველო აშენებს. სკოლის კაპიტალური შენობაში ო�ასენი სამუშაოები სრულდება. პირველ სექტემბერს ახალი სკოლა უეჭველად მიიღებს ახალგაზრდებს.

პირველ სექტემბერსვე აწყობილდება ზარი ზედუბნისა და მორგვთის რვაწლიან, მელუშეთის და მიხელიძეების დაწყებითს ახალ სკოლებში. საგულდაგულოდ და სწრაფად აშენებს მიხელიძეების სკოლას შახტმშენის ჭიათურის სამმართველოს კოლექტივი (უფროსი არ. ხობუა).

შენდება და მომავალ წელს დამთავრდება ხალიფაურის საშუალო სკოლის ტიპური შენობა, ნაგოზეთისა და ბერეთისის სპორტული ბაღები.

70 ათასი მანეთია გამოყოფილი სკოლების შეკეთებისათვის. მეოთხე საშუალო სკოლას მიუშენდა ექვსი ოთახი და იქ ერთეული სკოლა — ოთხ ოთახიანი, ბინანასენებლობა — ორი ოთახი.

მომავალ წელს უნდა დაიწყოს ნაგარეთის, თაბაგრების, ჭალდა-ესანელოს რვაწლიანი სკოლების მშენებლობა. ოგანის საშუალო სკოლაში აშენდება ერთი ახალი მოზრდილი კორპუსი.

სკოლების შეკეთებას საგრძნობლად აფერხებს სამშენებლო მასალების ნაკლებობა, რაც უსათუოდ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ. ერთობ უვარგის შენობებშია ჯოყოეთის, ტატენაშვილების, საკურწის, ვანისა და ჩხიროულის დაწყებითი სკოლები. აქედანვე უნდა იზრუნონ, რომ იქ ახალი შენობები აიგოს.

სკოლების მშენებლობა-შეკეთება ძირითადად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, მაგრამ არის ნაკლოვანებებიც. ეს ჩვენც შევნიშნეთ, და ამაზე გვიამბო განათლების განყოფილების გამგემ გ. ცხადაიშვილმა:

— ბინათმშენებლობის სამმართველოს (უფროსი ჯ. რაზმაძე) სამუშაოთა მწარმოებლები ნაკლებად ფიქრობენ ხარისხზე, რაც მშენებლობის გაძვირებასაც იწვევს. ასე მოხდა ზედუბნის რვაწლიანი და ქალაქის მეხუთე საშუალო სკოლების მშენებლობა-მიშენებაზე. ვაქვეს რვაწლიან სკოლას სახუთაკი ხელრიანად ვერ გაუკეთეს, ვაცხის საშუალო სკოლაში ცენტრალური გათბობა დაივიწყეს, ცუდად თბება ქალაქის მეორე და რუსული საშუალო სკოლები.

სკოლებმა და განათლების განყოფილებამ იზრუნეს სკოლების სახელმძღვანელოებით, სათბობით უზრუნველყოფისათვის. სამოცზე მეტი მასწავლებელი დახელოვნების კურსებზეა, სკოლებს შემემატა ათი ახალი მასწავლებელი, მაგრამ სკოლები განსაკუთრებით განიცდიან რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის მასწავლებელთა სიმკაცრის. ამის გამო ბევრ სკოლაში რუსული ენის სწავლება სუსტად არის დაყენებული, ესეც გასათვალისწინებელია.

ჭიათურა რესპუბლიკური დროშის მფლობელია. ეს ბევრს ავალებს ყოველ ჭიათურელს. სკოლები სრულ მზადყოფნაში, ორგანიზებულად უნდა შეხვდნენ პირველ სექტემბერს.

პ. ჭიოკაძე.
„კომუნისტის“ სპეც. კორ.



თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში დასასრულს უახლოვდება სახუფავი აპარატების პირველი პარტიის გამოშვება. ამ აპარატების წარმადობა საათში 6 ათასი ბოთლია. საცდელმა ნიმუშმა გამოცდა უკვე გაიარა. ავტომატმა მაღალი შეფასება მიიღო და რეკომენდაცია მიეცა მასობრივი წარმოებისათვის. ახალ მანქანას შეუძლია ხუფი გაუკეთოს კონიაკის, არყისა და ლიქიორის ბოთლებს. მარტო მიმდინარე წელს ქარხანა 60 ასეთ ავტომატს გამოუშვებს. სურათზე: (მარცხნიდან) საამქროს ოსტატი ი. ოქრუაშვილი, ამწყობ-ზეინკლთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. სტეფანოვი და ქარხნის წარმოების უფროსი ლ. ალაპაკიანი ამოწმებენ ახალი აპარატის მუშაობას.

ფოტო ვ. მორგუნოვისა
(საქდენის ფოტოქრონიკა).

ვინ აძვირებს და აუგემურებს ქერძებს

● ერთი სიგნალის გამო

სიგნალი, რომელიც რედაქციამ მიიღო, ამხილებს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშათა სასადილოებში არსებულ ნაკლოვანებებს. კერძოდ, აღნიშნულია, რომ აქ არღვევენ საბჭოთა ვაჭრობის წესებს, წონასა და ფასში ატყუებენ მომხმარებელს, დაბალია კერძების ხარისხი და მცირეა ასორტიმენტი. ეს იმის შედეგია, რომ სუსტია მუშათა სასადილოებისადმი კონტროლი და ხელმძღვანელობა.

ვიდრე სიგნალში მოყვანილი ფაქტების შემოწმების შედეგებზე რაიმეს ვიტყოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ ქარხნის ხელმძღვანელების თაოსნობით ამ ბოლო დროს მუშათა კვების უკეთ მოწყობის მიზნით განსორციელდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება: რუსთავის სასადილოებისა და რესტორნების ტრესტს გამოეყო და ცალკე შეიქმნა ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილება. რა უნდა იყოს ამ ღონისძიების ძირითადი შედეგი? რა თქმა უნდა, სადილის ფასების შემცირება. ასეც მოხდა. მენიუში აღნიშნული კერძები ამჟამად 20 პროცენტით ნაკლები ღირს, ვიდრე ადრე ღირდა.

იგრძნეს თუ არა მუშებმა ამ ღონისძიების სიკეთე? მაინცდამაინც გვრა. ეს იმიტომ, რომ მუშათა სასადილოებში ჯერ კიდევ შემორჩენენ ფულს დახარბებული ადამიანები, რომლებიც ცდილობენ შეღავათის ერთი ნაწილი თავიანთი ჯიბის გასასქელებლად გამოიყენონ.

აი ფაქტებიც:

მილსაგლინავი საამქროს მუშათა სასადილოში 12 საათზე იწყება სადილების გაცემა. ერთბაშად მიდიან ნ. ჭ. ბი და დგება რიგი. მოლარე ნ. ლეფსაიაც ამას ელოდება და იწყებს თავის „საქმიანობას“. თვითეულ კლიენტზე შეადგენენ 3-4 კაპიკის აღება თითქოსდა არ უნდა იყოს ალაპარაკო და საგანგაშო. ეს აბა რა დიდი თანხაა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ ასობით მუშამ უნდა ისადილოს, ადვილი გასაგებია როგორ იზრდება ნ. ლეფსაიას „შემოსავალი“. მოლარის მიერ დაზარალებულთა სიაში ერთ-ერთ დღეს აღმოჩნდნენ მილსაგლინავი საამქროს მუშები ქ. ზუბამეილი, გ. ჯიოევი, გ. არუთინოვი, ქ. ცალუღელაშვილი და სხვები. და განა მარტო ამ დღეს? ასე, ხდება სისტემატურად.

ასეთსავე ბრალდებებს უყენებენ მუშები მეორე მოლარეს ნ. ბუმბარსკაიას. ოღონდ იგი ნ. ლეფსაიასაგან განსხვავებით, ერთობ უხეშიც არის.

ახლა ბუფეტშიც შევეხებოთ. აქ

საერთაშორისო ცხოვრება

ინტერნაციონალიზმის ერთგულების ნიშნით

სანტიაგო, 5 აგვისტო. (საკდესი). გასულ კვირაში გაიმართა ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მიმდინარე წლის ნოემბრის დამლევს მოიწვიოს პარტიის მე-14 ყრილობა. პლენუმის გამოქვეყნებულ დოკუმენტებში უმნიშვნელოვანესია ის ნაწილი, რომელიც ეხება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულს.

აღვნიშნავთ რა ამ დიად თარიღს ხაზგასმულია გადაწყვეტილებაში, ამით ჩვენ არა მარტო თაყვანს ვცემთ ლენინის ხსოვნას, არა მარტო ვცნობთ მის გიგანტურ რევოლუციურ საქმეებს, არამედ ამავე დროს ლენინის წლისთავი იქნება ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების ახალი დამკვიდრება.

ჩილეს კომუნისტები აცხადებენ, რომ თავიანთ მე-14 ყრილობას გამართავენ მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგულების ნიშნით.

დაიკარგა ბომბები

ტოკიო, 6 აგვისტო. (საკდესი). იაპონიის საზოგადოებრიობის პროტესტის მიუხედავად ამერიკის მხედრიონი კვლავ ინახავს ოკინავაში ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის მარაგს. ცნობილი გახდა, რომ ამერიკის საბრძოლო მასალის საწყობში სოფელ მინატოსონის რაიონში დაიკარგა ყუთი, რომელშიც იყო 50 ქიმიური ბომბი. მიღებული ცნობებით, ბომბებში იყო გაზი, რომელიც იწვევს ცრემლდენასა და დამბლას. ამერიკის სამხედრო პოლიციამ, რომელმაც დაკარგული ბომბების ძებნა გამოაცხადა, დაადგინა, რომ საწყობის ტერიტორიის მახლობლად იმ დროს, როცა ვარაუდით „საშიშ“ ყუთი“ დაიკარგა, იყო ბავშვების დიდი ჯგუფი.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ცალკე ბროშურად

ბუენოს-აირესი, 5 აგვისტო. (საკდესი). არგენტინის გამომცემლობა „ანეომ“ ცალკე ბროშურად გამოუშვა სკკპ დელეგაციის მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე. მალე გამოსცემენ აგრეთვე თათბირის დოკუმენტებსა და დელეგატთა სიტყვების ტექსტებს. არგენტინაში მოქმედ ანტიკომუნისტურ კანონთან დაკავშირებით ბროშურის გამოცემა და მისი გავრცელება დიდ სიძნელეებთან და რისკთან არის დაკავშირებული.

კიზინგერის ვიზიტი

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. (საკდესი). გუშინ აკ ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი კიზინგერი. ნიუ-იორკში იგი შეხვდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ. ტანს.

დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი კიზინგერი ოფიციალური ვიზიტით წავა ვაშინგტონში.

ასამართლებენ ბასკებს

პარიზი, 6 აგვისტო. (საკდესი). ბასკთა მხარის ხუთი მცხოვრები წარსდგა ქალაქ ბურგოსის სამხედრო ტრიბუნალის წინაშე. როგორც პრესა წერს, ბასკ პატრიოტებს ბრალად სდებენ ფრანკისტული რეჟიმის წინააღმდეგ „შეიარაღებული აჯანყების მომზადებას“.

სამხედრო პროკურორმა განსასჯელებისათვის მოითხოვა 12-დან 20 წლამდე პატიმრობა.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

რომი, 5 აგვისტო. (საკდესი). მთავრობის კრიზისის შემდეგ, რომელიც ერთ თვეს გრძელდებოდა, იტალიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ერთერთმა ხელმძღვანელმა მოდვაწემ მ. რუმორმა, ზოგორც იქნა, შექმნა ახალი მთავრობა. მთავრობის შემადგენლობაში არიან მხოლოდ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები.

მ. რუმორმა ახალ მთავრობაში დაიკავა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი. საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ა. მორო, შინაგან საქმეთა მინისტრი — ფ. რესტივო, ფინანსთა მინისტრი — ჯ. ბოსკო, თავდაცვის მინისტრი — ლ. გუი.

ადგილობრივ მეთვალყურეთა აზრით, ახალი მთავრობა დიდხანს ვერ იარსებებს და უნდა გადაწყვეტოს გარკვეული ამოცანები. კერძოდ, მომდინარე წლის შემოდგომაზე მან უნდა მოაწყოს საოლქო და პროვინციული არჩევნები. შემდეგ, შესაძლოა, შეეცდებიან ადადგინონ „შემარცხენე ცენტრის“ მთავრობის კოალიცია ქრისტიანული დემოკრატების, სოციალისტებისა და რესპუბლიკელების შემადგენლობით.

დამთავრდა იაპონიის პარლამენტის სესია

ტოკიო, 5 აგვისტო. (საკდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა იაპონიის პარლამენტის სესიამ, რომელიც 222 დღეს გრძელდებოდა. პარლამენტის განსახილველად წარდგენილი 113 კანონპროექტიდან სესიამ დაამტკიცა 63. ბევრმა კანონპროექტმა პარლამენტში ცხარე კამათი და ოპოზიციური პარტიების პროტესტები გამოიწვია. ასეთი კანონპროექტები იყო: კანონპროექტი იაპონიის შეიარაღებული ძალების რიცხვის გადიდების შესახებ, სახელმწიფო რკინიგზებზე ტარიფების გადიდების შესახებ და სხვ. ამავე დროს პარლამენტის სესიამ ვერ მოასწრო მთელი რიგი ისეთი კანონპროექტების განხილვა, რომლებიც უშუალოდ ეხება მოსახლეობის საარსებო პრობლემებს, კერძოდ, კანონპროექტები პენსიებისა და წვრილშვილიანთა დახმარების შესახებ.

იაპონიის პარლამენტის სესია დამთავრდა მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისა და ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგობათა მკვეთრი გამწვავების ვითარებაში, რაც გამოიწვია იმან, რომ კონსერვატორები თავს აბრალებენ პარლამენტს მთელ რიგ სადავო კანონპროექტებს.

პატრიოტთა დარტყმები

განთავისუფლების პრესა. საგენტო სამხრეთ ვიეტნამიდან იუწყება, რომ 22 ივლისს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა საბრძოლო ოპერაცია განხორციელეს დინლონგის პროვინციის ქალაქ ლოკნინის ჩრდილო-აღმოსავლეთით და დახოცეს და დაჭრეს 80-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი. გარდა ამისა, სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა მოსპეს 12 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა.

30 და 31 ივლისს კუანგნამის პროვინციაში მოქმედმა განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების რაზმებმა საიგონის ჯარების ქვეგანაყოფებთან ბრძოლებში დახოცეს და დაჭრეს მოწინააღმდეგის 140-ზე მეტი სამხედრო მომსახურე. (საკდესი).

ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲠᲔᲜ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური წარმომადგენლის განცხადება

პარიზი, 5 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალურმა წარმომადგენელმა საფრანგეთში მაი ვან ბომ საფრანგეთის პრესის კლუბში განაცხადა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მხარს უჭერს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის წინადადებებს სამხრეთ ვიეტნამში საყოველთაო არჩევნების მოწყობის შესახებ.

ამ მთავრობასთან ერთად, თქვა მაი ვან ბომ, ჩვენ გადაჭრით უარვყავით წინადადება, რომ არჩევნები მოწყობილიყო საიგონის მარიონეტული რეჟიმის ხელისუფლების პირობებში, რადგან თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები შეუძლებელია, სანამ ხელისუფლების სათავეშია ეს რეაქციული რეჟიმი, ხოლო სამხრეთ ვიეტნამში — ამერიკის ჯარები.

ვიეტნამელი ხალხი, ხაზი გაუსვა მაი ვან ბომ, კვლავაც მოითხოვს, რომ მოლიანად გაიყვანონ სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარები. სანამ ამერიკის შეიარაღებული ძალები განაგრძობს აგრესიას, სამხრეთვიეტნამელი ხალხი განაგრძობს თავის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ᲐᲠᲐᲑᲘ მოსახლეობა, რომელიც ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზეა დარჩენილი, გამუდმებულ ტერორსა და ძალადობას განიცდის დამპყრობლებისაგან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: ქალაქი ხევრონი, იორდანიის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. დაპატიმრებულ არაბებს ისრაელის ჯარისკაცები დარაჯობენ.

ტელეფოტო აპ-საკდესისა.



ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ. დანგრეული სახლები ალ-ქამარეში ისრაელის სამხედრო ხროვის მიერ საარტილერიო ცეცხლის დაშენის შემდეგ. ამ პატარა ქალაქში, რომელშიც 14 ათასი კაცი ცხოვრობდა, ახლა ხიცოცხლე ჩაკვდა. ისრაელელმა აგრესორებმა მთლიანად დანგრიეს და დაწვეს საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები, ფოსტა-ტელეგრაფი, სკოლები. მოსახლეობა იძულებული გახდა დაეტოვებინა ქალაქი.

ფოტო აგენ-საკდესისა.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ

Შ. ᲡᲐᲓᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

პრაღა, 5 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ბრატისლავაში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ექვსი წლის წინ, კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა მიერ ბრატისლავის თათბირზე ერთობლივი განცხადების ხელმოწერის წლისთავს.

სხდომაზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. სადოვსკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე პ. ცოლტაკი, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და ცენტრალური კომიტეტის მდივნები ბ. გრაცი, ა. ტუტრეკი, ი. ზრაკი და სხვები.

მოხსენება გააკეთა სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. სადოვსკიმ.

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბრატისლავაში ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური და მუშათა პარტიების უმაღლესი წარმომადგენლები და თათბირის დასასრულს ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც ცნობილი გახდა ბრატისლავის განცხადების სახელწოდებით, თქვა მოხსენებაში შ. სადოვსკიმ.

ამ თათბირსა და მის მიერ მოწონებულ განცხადებას ისტორიული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ახლანდელ ეტაპზე. მოვლენათა განვითარებამ განვლილი 12 თვის მანძილზე დაადასტურა ეს შეფასება.

ბრატისლავის შეხვედრა გამოიწვია საერთაშორისო მდგომარეობის მკვეთრმა გამწვავებამ.

განსაკუთრებით საშიში ფორმისა გახდა მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ იმპერიალისტური ბურჟუაზიის პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური დივერსიის სხვადასხვა და მეტად დახვეწილი მეთოდები. ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა მაო ძე-დუნის მეთაურობით დაადგა უხეში და აგრესიული ანტისოციალიზმის კურსს, გზა ჩაუკეტა მსოფლიო სოციალიზმის საერთო აქციებს, რომელთა მიზანი იყო მშვიდობა და პროგრესი.

ამ საერთაშორისო ვითარების თვალსაზრისით შეაფასეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ხუთი მოძმე ქვეყნის პარტიებმა აგრეთვე მოვლენები, რომლებიც ჩეხოსლოვაკიაში ხდებოდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ. ანტისოციალისტური ძალების აქტივიზაციამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათმა მზარდმა ზეგავლენამ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პოლიტიკის პრინციპებზე შეშფოთება გამოიწვია ამ მოძმე პარტიებსა და მოკავშირე სოციალისტურ ქვეყნებში. ჩვენნაირ საქმის სწორედ ასეთმა ვითარებამ მისცა უშუალო იმპულსი ბრატისლავის თათბირს, რომელიც შარშან გაიმართა.

დღეს, თქვა შემდეგ შ. სადოვსკიმ, შეგვიძლია ალვნიშნოთ, როგორც ეს ამას წინათ ვარშავაში აღნიშნა ამხ. გ. ჰუსაკმა, რომ ჩვენი ხელმძღვანელობა მემარჯვენე და ანტისოციალისტური ძალების ზეგავლენით, აგრეთვე მასში არსებულ წინააღმდეგობათა შედეგად საკმაო პასუხისმგებლობით ვერ მოეკიდა მოძმე პარტიებთან ბევრი შეხვედრისა და თათბირის შედეგებს. ზოგ შემთხვევაში კი დაიკავა პოზიცია, რომელიც არ შეესაბამებოდა არც ჩვენი პარტიისა და ხალხის და არც მთლიანად სოციალისტური ბანაკის კლასობრივ და საერთაშორისო ინტერესებს. ჩვენი აზრით, ეს კრიტიკული შენიშვნა საკმაოდ შეესაბამება ჭეშმარიტებას. ჩვენი ინტერნაციონალური მოვალეობაა, განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ეს არის საერთო აზრი თათბირის ყველა მონაწილისა, რომლებმაც მტკიცედ გადაწყვიტეს განავითარონ და დაიცვან სოციალიზმის მიღწევები თავიანთ ქვეყნებში, მოიპოვონ ახალი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში.

განცხადებაში ბევრი იყო დიდმნიშვნელოვანი ფორმულირებანი, რომლებიც გადაჭრით ეწინააღმდეგებოდნენ იმას, რაც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოჭრნდა ანტისოციალისტური და ანტისაბჭოთა ძალების ავანტიურისტულ აქტივობას. ეს ძალები კვლავ აღიარებდნენ ანტისაბჭოთა გამოხდომებს, გამოხდომებს კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ერთი წელი შემდეგ განსაკუთრებით აშკარად ჩანს შეცდომა პარტიის მაშინდელი ხელმძღვანელობისა, რომელმაც არ განახორციელა გადამწყვეტი და ეფექტიანი ღონისძიებანი ამ ავანტიურისტული მიმდინარეობის წინააღმდეგ.

ამჟამად ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წინაშე დგას დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — კომპლექსური ანალიზი გაუკეთოს თავის მუშაობას 1968 წლის იანვრამდე და მას შემდეგ.

ჩვენი პარტია აღიარებს, რომ 1968 წლის იანვრამდე განვითარებაში იყო სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც ასუსტებდნენ პარტიის საზოგადოებრივ ავტორიტეტს. ჩვენ ვცდილობთ აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებანი, ვცდილობთ უზრუნველყოთ ისეთი განვითარება, რომელიც თანამედროვე სოციალისტური საზოგადოების კრიტერიუმების შესაბამისი იქნება. კონსტრუქციული კრიტიკული შენიშვნები მიგვიჩნია აქტიურ დახმარად ჩვენს პოლიტიკაში. ჩვენი პარტია აწარმოებს მტკიცე პოლიტიკურ ბრძოლას, ბრძოლას ხელისუფლების პოზიციებიდან ანტისოციალისტური და შემარჯვენეოპორტუნისტული ძალების წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ ბოროტად გამოიყენონ პარტიის თვითკრიტიკული მიდგომა წარსული მოცდომებისადმი, შეასუსტონ პარტიის ხელმძღვანელი როლი, ისწრაფვიან თეორიულად თუ პრაქტიკულად მოსპონ კომუნისტური პარტია.

დღევანდელ ანალიზებიანად გაყოფილ მსოფლიოში ჩვენი ხალხების თავისუფლების, ჩვენი სახელმწიფოს არსებობისა და სუვერენიტეტის ძირითადი წინამძღვარია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კავშირი სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

ჩვენს პარტიასა და ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებაში მემარჯვენე და ანტისოციალისტური ძალების საქმიანობა ჯერ განვლილი ეტაპი როდია, თქვა შემდეგ შ. სადოვსკიმ. ეს ძალები არ წყვეტენ პროვოკაციებს, იერიელებენ ათასნაირ ფურცლებსა და ლოზუნგებს. გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ეს ძალები თავგზას ვერ აუბნევენ ჩვენს პარტიასა და ხალხს. ჩვენს ქვეყანაში ბოლო მოეღო ანარქიასა და უხალისუფლებობას. პარტიას არ შეუძლია უდარდელად და გულხელდაკრეფილი უყურებდეს, როცა ცდილობენ განხეთქილება ჩამოაგდონ სოციალისტურ თანამეგობრობაში და ძირი გამოუთხარონ მოქალაქეთა ნდობას თავიანთი სახელმწიფოსადმი.

მომდინარე წლის აპრილის პლენუმის შემდეგ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობა დაადგა ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობის ინტერესების დაცვას არაორაზროვან პოლიტიკას. მოხდა ჩვენი სახელმწიფოს შერყეული საერთაშორისო მდგომარეობის მნიშვნელოვანი კონსოლიდაცია. ჩვენმა პარტიამ კვლავ თავისი შესაფერი ადგილი დაიკავა კომუნისტური და მუშათა პარტიების ძმურ ოჯახში.

როცა ვლაპარაკობთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე, რომლებიც ჩვენი პარტიის ახლანდელი ხელმძღვანელობის პოლიტიკის ერთ-ერთი საფუძველია, ამავე დროს გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ეს პრინციპები ყოველთვის, ჩვენი პარტიის მთელი სახელოვანი ისტორიის მანძილზე საფუძვლად ედო მის პოლიტიკასა და საქმიანობას. გავიხსენოთ, მაგალითად, სლოვაკთა ეროვნული აჯანყება, რომლის 25 წლისთავის ღირსეულად აღნიშნეს ამ ზაფხეთ. ეს აჯანყება — ყველაზე ღირსშესანიშნავი პოლიტიკური შეიარაღებული გამოსვლა სლოვაკი ხალხის თანამედროვე ისტორიაში — ჩვენი ხალხის ეროვნული და სოციალური პრობლემებს გადაჭრას უხამებდა საერთო მსოფლიო პროგრესის ამოცანებს. აჯანყების მომზადების მსვლელობაში და აჯანყების დროს, სამხედრო ძალით მისი დროებით ჩახშობისა და გმირი საბჭოთა არმიის მიერ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების პროცესში იქმნებოდა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ძმობა და მეგობრობა. ჩვენ საჯაროდ ვაცხადებთ, რომ არ შეგვიძლია დავივიწყოთ და არასოდეს არ დავივიწყებთ, ვინ უქმნიდა საფრთხეს ჩვენი ხალხების არსებობას და ვინ იყვნენ ისინი, ვინც იმ საბედისწერო დღეებში სიცოცხლეს არ იშურებდა, ჩვენს გვერდით იყო, ჩვენს მხარეზე იყო. ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ, რომ ესენი იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, ამრიგა და პარტია, რომელთა სისხლის ფასად იშვა ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ახალი თავისუფლება მეორე მსოფლიო ომის დამლევს.

ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კომუნიზმის დიადი იდეალები, რომლებსაც შეეწირა ათასობით ადამიანი მეორე მსოფლიო ომისა და სლოვაკთა ეროვნული აჯანყების დროს, სინამდვილად იქცეს.

შემდეგ შ. სადოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვის ამსწინანდელი საერთაშორისო თათბირი დიდმნიშვნელოვანი შემობრუნება იყო მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის, კაცობრიობის პროგრესული განვითარებისათვის ბრძოლის ერთიან ფრონტად. მომძე კომუნისტური პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირების საქმეში.

შ. სადოვსკიმ გამოთქვა რწმენა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტია მთლიანად აღადგენს მეგობრობას თავის კლასობრივ და პოლიტიკურ მეგობრებთან, მომძე კომუნისტურ პარტიებთან, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან.

მან და გამოთქვა მტკიცე რწმენა, თქვა დასასრულ ორატორმა, რომ ჩვენი კომუნისტური პარტია თავისი პატიოსანი და პრინციპული მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკით დაუმტკიცებს ჩვენი ქვეყნის ხალხს, რომ თავის უმაღლეს მისიად მიიჩნევა უზრუნველყოს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ბედნიერება და მშვიდობიანი ცხოვრება.

ᲜᲔᲝᲜᲐᲪᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ბონი, 6 აგვისტო. (საკდესი). ნაციონალ-დემოკრატიული პარტია ტერორისტული, ანტიდემოკრატიული, ნეონაცისტური პარტიაა. ნეონაცისტთა თავდასხმამ მაინის ფრანკფურტში გამართული დემონსტრაციის მონაწილეებზე ამხილა ამ პარტიის ნამდვილი არსი და ცხადყო, რომ მას განზრახული აქვს ტერორის მეთოდებით იმოქმედოს ყველა დემოკრატისა და პროგრესულად განწყობილი ადამიანის წინააღმდეგ, განაცხადა გაზეთ „უნზერე ცაიტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ კურტ ბაჰმანმა.

ნეონაცისტთა გამოსვლები დემოკრატიისა და საზოგადოებრივი პროგრესის წინააღმდეგ შეუძლია აღკვეთოს დემოკრატიული ძალების ერთიანმა და შეკავშირებულმა მოქმედებამ, აბაზი გაუსვა კურტ ბაჰმანმა.

„როგორც გერმანიის კომპარტიის თავმჯდომარემ, შემიძლია განვაცხადო რომ ჩვენ, კომუნისტებმა, გაკვეთილი გამოვიტანეთ წარსულიდან. უნდა გავითვალისწინოთ ფაშიზმის კაცთმოძულე, სასტიკი არსი, ფაშიზმისა, რომელიც გერმანიაში ყოველთვის ომს ნიშნავდა, და განვახორციელოთ ყველა ღონისძიება, რათა მივალწიოთ ერთობას ფაშიზმის წინააღმდეგ დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში“.

მაინის ფრანკფურტში მომხდარი ამბების შემდეგ, განაცხადა კურტ ბაჰმანმა, უნდა დაიწყოს დემოკრატიული ძალების ეფექტიანი მოქმედება ნეონაციზმისა და ომის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და საზოგადოებრივი პროგრესისათვის.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲜᲔᲑ

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. (საკდესი). „აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევის ეროვნული სამმართველოს სიხარულს ხომდერ „აპოლონ-11“-ის ფრენის წარმატებით დამთავრების გამო ჩრდილი მიაყენა წამყვან მეცნიერთა წასვლამ აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოდან“ — წერს ამერიკის ყოველკვირეული „ნიუსუიკი“. როგორც ჟურნალი წერს, მეცნიერთა უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ კოსმოსური კვლევის პროგრამაში „მეტისმეტ მნიშვნელობას ანიჭებენ პროპაგანდისტულ ასპექტებს“.

„ნიუსუიკი“ წერს, რომ მეცნიერებისა და გამოყენებითი კვლევის განყოფილების გამგე ჰიუსტონში უილმოტ ჰესი აპირებს გადადგომას და გადასვლას ბოუდერის (კოლორადოს შტატი) სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიების ხელმძღვანელის პოსტზე. მეორე გამოჩენილმა მეცნიერმა ეობერტ კინგმა, რომელიც ახლა მთავრის მასალების დამუშავების ლაბორატორიის გამგეა, აგრეთვე გადაწყვიტა წავიდეს აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოდან. იგი გადადის ჰიუსტონის უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტის ხელმძღვანელის პოსტზე.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲛᲐᲠᲘᲜᲔᲠ-7“

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. (საკდესი). ოთხ თვეზე მეტი ხნის ფრენის შემდეგ ამერიკის ავტომატურმა სადგურმა „მარინერ-7“-მა პროგრამის შესაბამისად ჩაუფრინა მარსს დაახლოებით 3.200 კილომეტრზე პლანეტის ზედაპირიდან. ფრენის დროს „მარინერ-7“ ფოტოსურათებს უღებდა პლანეტას, ზონდავდა მის ზედაპირსა და ატმოსფეროს.

ამ დროს კოსმოსური აპარატი დედამიწიდან დაშორებული იყო დაახლოებით 80 მილიონი კილომეტრით.

დღეს „მარინერ-7“-მა დედამიწაზე გადმოსცა სატელევიზიო სურათების სერია, რომლებიც აპარატმა გადაიღო 3 აგვისტოს, როცა მარსს მიუახლოვდა დაახლოებით 1 მილიონ 100 ათას კილომეტრზე.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲔᲡ

პარაღა, 5 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ბ. კრაევსკი გვატყობინებს.

დღეს პატარა გელენკა უკვე შინ არის, მაგრამ წუხელ ჩრდილოეთ მორავიის სოფელ ადოლფოვიცის მცხოვრებლები ძალზე წუხდნენ მისი ბედის გამო.

კენკრის მოსაკრეფად ტყეში მთელი ოჯახი წავიდა, მაგრამ როცა რამდენიმე ხნის შემდეგ შეიკრიბნენ, გელენკა არსად ჩანდა. დიდხანს ეძებეს, უძახეს გოგონას, შემდეგ კი საზოგადოებრივი უშიშროების ადგილობრივ განყოფილებაში განაცხადეს, რომ გოგონა დაიკარგა. განყოფილების უფროსი მიხვდა, რომ მარტო მისი მუშაკები სწრაფად ვერ იპოვნიდნენ გოგონას დიდ და დაბურულ ტყეში. მან დახმარება სთხოვა იმ მიდამოებში განლაგებული საბჭოთა არმიის ნაწილის მეთაურს. რამდენიმე წუთში ასზე მეტი საბჭოთა ჯარისკაცი და ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრივი უშიშროების ოცდაათი მუშაკი ტყეში გაიფანტა ბავშვის საძებნელად.

გარიერაჟზე ბავშვი იპოვეს, ცოცხალი და საღსალამათი. გელენკა მშობლებს მიჰგვარეს.

ᲙᲣᲒᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

მეორე დღეა თბილისში სტუმრად არის კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საზოგადოების მდივანი სილვია აპიაუ, კუბის ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტის განყოფილებათა გამგეები ხოსე მოლინა და მარიო ბაიოტე.

კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება, გვიამბობენ თავისუფლების კუნძულიდან ჩამოსულნი ამხანაგები, შეიქმნა მომდინარე წლის აპრილში, ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღეს. ამ საზოგადოების შექმნა იყო ჩვენს ქვეყანაში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ღონისძიება.

კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებას სათავეში უდგას კუბის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ანტონიო ნუნიეს ხიმენესი. გამგეობის შემადგენლობაში შევიდნენ მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, მათ შორის მეცნიერებათა აკადემიის კიევპრეზიდენტი ხულიო ლე რიჟერონდი, პოეტი ნიკოლას გიელენი, ბალერინა ალისია ალონსო და სხვები.

დელეგაცია სსრ კავშირში ჩამოვიდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირისა და საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის საზოგადოების მოწვევით.

6 აგვისტოს კუბელი სტუმრები ეწვევნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას. მათ გულთბილად მიესალმა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გიგოშვილი. გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირისა და საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის საზოგადოების მოწვევით.

6 აგვისტოს კუბელი სტუმრები ეწვევიან საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას. მათ გულთბილად მიესალმა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ძულენტი. (საკდესი).

6 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

რაზე წერს უცხოეთის პრესა

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ პრესა ბეჭდავს ცნობებს და ოფიციალურ კომუნიკეს იმის შესახებ, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ვიზიტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობს კანდიდატის, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პ. მ. მაშეროვის მეთაურობით. ცნობებში ხაზგასმულია, რომ ამ ვიზიტს დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

რუმინეთის გაზეთები წერენ, რომ დღეს ბუქარესტში გაიხსნა რუმინეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა.

საზღვარგარეთის პრესა ბეჭდავს პრაღის „რუდე პრავოში“ დაბეჭდილი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშების ნაწყვეტებს.

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ. ლონდონის „ტაიმსი“ იუწყება, რომ საბრძოლოდ არიან გამზადებული ბელფასტის რაიონში განლაგებული ინგლისის ჯარები, სადაც, როგორ

საქართველოს ქალაქებიდან

მსოფლიოში უგადლო ასი მარშრუტით

საქართველოს შახტების მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი ჩვენი ქვეყნის წამყვანი ორგანიზაციაა, რომელიც ამპროექტებს სატვირთო და სამგზავრო საბაგირო გზებს. ამ ინსტიტუტის სპეციალისტთა პროექტებით აგებული ასეთი გზები ახლა მოქმედებს ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში.

ინსტიტუტს ავალებენ ტრასების დაპროექტებას უაღრესად რთულ უნებებზე, და კოლექტივი მუდამ წარმატებით ასრულებს დავალებას. მაგალითად, პროექტი 1.800-მეტრიანი ტრასისა ქალაქ ალმა-ატის აბაის მოედნიდან კარ-ბიუბეს მთამდე, რომელიც ინსტიტუტის თანამშრომლებმა შექმნეს, საუკეთესო აღმოჩნდა.

ქართველ სპეციალისტთა დახმარებით იქნა გაყვანილი აგრეთვე ათასმეტრიანი საბაგირო გზა, რომელმაც ერევანი დაუკავშირა ნორის მასივთან. მომძე სომხეთისათვის ახლა მთავრდება კიდული გზის კიდევ ერთი პროექტის შედგენა. იგი დაბა ბერდ დაუკავშირებს მაღალი მთის პარკთან.

ინსტიტუტის მუშაკებმა უახლოეს დროში უნდა შეასრულონ მთელი რიგი ახალი საპაერო გზების პროექტები. ერთ-ერთი მათგანი 1.000 მეტრი სიგრძისა გაჰყავთ პიატიგორსკის ცენტრიდან მაშუკის მთამდე. მეორე გზა ჟელეზნოვოდსკში დეკორაციულ ტბას დაუკავშირებს ჟემეზნაიას მთასთან. 4.700 მეტრი სიგრძის კიდევ ერთი საბაგირო გზა გავა ქალაქ დუშამბეს საგარეუბნო კურორტიდან მაღალი მთის სათხილამურო ბაზამდე.

ბევრი საპაერო სამგზავრო გზა ააშენა ინსტიტუტმა საქართველოს ტერიტორიაზე. რესპუბლიკაში აგებული და ამჟამად მშენებარე ყველა სამგზავრო საბაგირო გზის საერთო სიგრძე შეადგენს 60 კილომეტრს. მშენებარე კიდულ გზებს შორის არის ძალიან რთული გზები. მაგალითად, ყაზბეგის ცენტრიდან ყაზბეგის მწვერვალის ძირთან მდებარე მეტეოსადგურამდე გაყვანილი გზა უბადლო იქნება მსოფლიოში. მისი სიგრძე შეადგენს თითქმის 13 კილომეტრს. 8.500 მეტრზე გაიმეტება კიდევ ერთი გზა: მცხეთა-ჯვარი-ზედაზენი-საგურამო. (საქდესი).

ავტომანქანები ომის ინვალიდებს

მესამედ მიიღო ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" ამბროლაურის რაიონის სოფელ წესის მკვიდრმა, ომის ინვალიდმა დ. მელაშვილმა. „ზაპოროჟეცები" მიიღეს აგრეთვე ხიმშელმა, ხოტიველმა, გორისუბნელმა კოლმეურნეებმა ვ. ყიფიანმა, გ. კობახიძემ, გ. მდივნიშვილმა.

ალ. კერესელიძე.

15 აგვისტოს მოგებათა ტირაჟი

15 აგვისტოს თბილისში გაიმართება 1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მორიგი ოცდამეხუთე ტირაჟი.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სახშრომშემსახურობისა და სახკრედიტის მთავარ სამმართველომი საკადესის კორესპონდენტს აცნობეს, რომ ამ ტირაჟში სესხის თვითეული თანრიგზე გათამაშდება 512.560 მანეთის 9.400 მოგება. მათ შორის არის 5.000, 2.500, 1.000, 500, 100 და 40 მანეთი მოგებანი.

1969 წლის ბოლომდე მოეწყობა სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა კიდევ სამი ტირაჟი: 30 სექტემბერს, 15 ნოემბერსა და 30 დეკემბერს.

ასი მარშრუტით

ქუთაისი. (საკ. კორ.). ახლა დასავლეთ საქართველოში არ არის ქალაქი და რაიონული ცენტრი, დაბა ან სოფელი, რომელიც ქუთაისთან საავტობუსო მიმოსვლით არ იყოს დაკავშირებული.

ქუთაისიდან კომფორტაბელური ავტობუსებით შეიძლება იმგზაურო თბილისში, ორჯონიკიძეში, გაგრასა და სოჭში. ავტობუსები ყოველდღე გადიან აგრეთვე ბორჯომის, წყალტუბოს, ბაკურიანის, ახალციხისა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქების მიმართულებით.

ამ ზოგზულში დაინიშნა დამატებითი მარშრუტი: ქუთაისი-ონი-თბილისი. ამჟამად ავტობუსები ყოველდღე დადიან ასამდე მარშრუტით.



ეს სიახლეა

ახალი ატს — „51"

თევზების ხმები მაგნიტოფონის ფირზე

დიდმის მასივში 2 აგვისტოდან მწყობრში ჩადგა ახალი, ხუთი ათას ნომერზე გათვალისწინებული ავტომატური სატელეფონო სადგური ინდექსით „51". სურათზე: ელექტროტექნიკოსი თ. ებრალიძე (მარცხნივ) და მონტიორი ლ. კაპანაძე „ატს-51"-ის საავტომატო დარბაზში გადართავენ ტელეფონებს ინდექს „66"-დან ახალ ინდექსზე — „51".

ფოტო რ. ბაბპარპასი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ამას წინათ ბათუმის აკვარიუმში საკავშირო აკუსტიკური ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის თევზისსაბიეგო ლაბორატორიის თანამშრომელთა ჯგუფმა — რადიოინჟინერმა ა. ტანაშევიჩმა, რადიოტექნიკოსმა ო. იეროვსკიმ და ბათუმელმა მუშაკებმა — თევზისა და ოკეანოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შიდა წყალსატევების განყოფილების გამგემ ო. ბურჭულაძემ, აკვარიუმის დირექტორმა დ. მიქელაძემ საინტერესო სამუშაო ჩაატარეს — მათ მაგნიტოფონზე ჩაიწერეს ხმები, რომლებსაც თევზები გამოსცემენ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სარეწი თევზების ხმას. ეს საშუალებას მისცემს მეგბადურებს საგანგებო აკუსტიკური ხელსაწყოების გამოყენებით ზღვაში მიაგნონ თევზების გუნდებს. ინსტიტუტის კოლექტივის მიერ დამუშავებულმა სპეციალურმა აპარატურამ შესაძლებელი გახადა კარგად ჩაიწერათ ხმები, რომლებსაც გამოსცემს თართი, ზღვის მაბალი, სტავრიდულა და სხვა თევზები.

ბათუმის აკვარიუმში ჩატარებული გამოკვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება მაღალმგრძნობიარე ხელსაწყოების შესაქმნელად თევზის სარეწი ძიებისთვის.

* * *

სურათზე: რადიოტექნიკოსი ო. იეროვსკი და ლაბორანტი რ. ოსავა ჰიდროფონს ამზადებენ თევზების ხმის მოსასმენად.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სპორტი

გავსახადოთ ჩოგბურთი სპორტის № 1 სახეობად!



ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე ზრუნვა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. რა თქმა უნდა, აქ პროფესიონალიზმსა და სპორტულ ბიზნესზე ლაპარაკიც ზედმეტია. მთავარია ხალხის ფიზიკური და მორალური სიჯანსაღე. მეც ამ პოზიციიდან მსურს გამოვთქვა ჩემი მოსაზრება, როგორც პროფესიით ექიმმა და ამავე დროს სპორტის მოტრფიალემ.

რა ისეთი დადებითი მხარეები აქვს ჩოგბურთს, რომ მას ჰქონდეს პრეტენზია გახდეს სპორტის ერთ-ერთი უპირველესი სახეობა? ვიდრე ჩოგბურთის დახასიათებას შეეუდგებოდეთ, ჯერ საჭირო დაზუსტდეს საერთოდ, თუ რა კრიტერიუმის საფუძველზე უნდა ხდებოდეს სპორტის სახეობათა გრადაციონ-ნუმერაცია მაყურებელთა თუ სპორტსმენთა რაოდენობის მიხედვით. ეს ორი სრულიად სხვადასხვა ცნებაა და ერთმანეთში არ უნდა ავრიოთ. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის, თუ როგორ დგას საკითხი სპორტსმენთა რაოდენობის მხრივ. ამაზეც ნათელ წარმოდგენას იძლევა ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი. ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებულია 8.500.000 ჩოგბურთელი, ინგლისში—1.500.000, ხოლო ავსტრალიაში, რომლის მოსახლეობა 10 მილიონს ბევრად არ აღემატება, ითვლიან 1.200.000 ჩოგბურთელს, ე. ი. დაახლოებით ყოველი ცხრა მოსახლიდან ერთი ჩოგბურთის თამაშობს.

მიუხედავად ჩოგბურთის ასეთი პოპულარობისა აღნიშნულ ქვეყნებში, იგი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს სპორტის მასობრივ სახეობად. საქმე ის არის, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩოგბურთში მეცადინეობა ერთ-ერთ ძვირადღირებულ სახეობად ითვლება და ამიტომ ყველას არა აქვს საშუალება ჩაეწეროს ჩოგბურთელთა კლუბებში, რომელთა წევრად გაუდომლად შეუძლებელია ამ კლუბების მოედნებით სარგებლობა. ასე რომ, არიან ოჯახები (შეძლებულთა), რომელთა ყველა წევრი თამაშობს ჩოგბურთს, მაშინ როდესაც სხვები ამას მოკლებულნი არიან.

მე მომიხდა ინგლისის ერთ-ერთი ძვირადღირებული კერძო კოლეჯის დაარსებელ-ინერებული, რომელსაც 10 ჩოგბურთის კორტი ჰქონდა თავის გამგეობაში, ამ დროს ინგლისის მრავალ ადრის მოსწავლეს საშუალება არა აქვს ითამაშოს ჩოგბურთი. კიდევ მეტი, როდესაც მეკსიკაში შემთხვევით დავთვალიერე ერთ-ერთი დიდი სასწავლო სპორტული მოედნების კომპლექსი ქალაქ-ბერეი, სადაც რამდენიმე სტადიონი, დიდი საცურავი აუზი და სხვადასხვა სპორტული მოედანი იყო, გაოცებულმა ვკითხე მის დირექტორს, რატომ არც ერთი ჩოგბურთის კორტი არ გაქვთ მეთქი. მან ასევე გაოცებულმა მიპასუხა, მე ხომ გითხარით, რომ ეს ნაგებობანი სახალხოა, ე. ი. მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის, და, მაშასადამე, ჩოგბურთის კორტის მოწყობა აქ არც ყოფილა გათვალისწინებული.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ქვეყანაში ჩოგბურთი ჯერ კიდევ არ არის სპორტის მასობრივი სახეობა, მისი გავრცელება მაინც ძალზე დიდი და სპორტსმენთა რაოდენობის მხრივ ბევრ ზოგიერთ ცივილიზებულ ქვეყანაში პირველი ადგილიც კი უჭირავს.

ჩვენში სრულიად საწინააღმდეგო სურათია. ჩოგბურთი ისევე ხელმისაწვდომია ყველა მოსახლესათვის, როგორც სპორტის სხვა სახეობანი, მხოლოდ მისი გავრცელება ჯერ ისევ ძალზე დაბალია (მთელ კავშირში რეგისტრირებულია მხოლოდ 6.000 ჩოგბურთელი).

რა დადებითი მხარეები აქვს ჩოგბურთს და რატომ უნდა გავსაზღოთ იგი ჩვენში სპორტის მასობრივ და წამყვან სახეობად?

ჩოგბურთი სპორტის ერთ-ერთი ულამაზესი და მომხიბლავი სახეობაა. იგი უპირველეს ყოვლისა სპორტული თამაშია და იძლევა ჯანსაღი გართობის საფუძველს. მას ერთდროულად ეფექტური საშუალება.

სამკურნალო ფიზკულტურის მიზნით სხვადასხვა სპეციალური ვარჯიშის სისტემატური წარმოება დაკავშირებულია ერთგვარ სიძნელეებთან (ნებისყოფის დაძაბვასთან, ავადმყოფის პირადი დისციპლინის ხარისხთან და სხვ.). იგი ხშირად მოსაწყენი ხდება, ავადმყოფთათვის, რაც აფერხებს ხოლმე მათს პრაქტიკულ განხორციელებას. ამ მხრივ ჩოგბურთის, როგორც სპორტული ერთთა-თამაშის, გამოყენება, შესანიშნავ პერსპექტივებს სახავს.

როდესაც ვამბობთ, ჩოგბურთი სპორტის ერთ-ერთი წამყვანი სახეობა უნდა გახდესო, ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ამით ჩრდილს ვაყენებთ სპორტის სხვა სახეობებს, ანდა ჩოგბურთს ვუპირისპირებთ მათ. პირიქით, სწორედ აქ ის არის აღსანიშნავი, რომ ჩოგბურთს სპორტის სხვა სახეობათა მიმდევრებიც უნდა თამაშობდნენ და პირიქით. თუ კაცი ჩოგბურთს თამაშობს, ეს არ ნიშნავს, რომ მისი სპორტული კარიერა ამით უნდა შემოისაზღვროს. წერილის მიზანი არ არის წმინდა სპორტული კარიერისა და მიღწევების თვალსაზრისით ჩოგბურთის საკითხის განხილვა. ჩვენ მხოლოდ მოვუწოდებთ, რომ ჩოგბურთს თამაშობდეს ყველა. ეს შეიძლება ბევრი ადამიანი, კიდევ მეტიც, ჩოგბურთი თანდათანობით უნდა გახდეს (ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ აქეთკენ) ისევე აუცილებელი ადამიანისათვის, როგორიც არის ცეკვა, მაგიდის ჩოგბურთის, ცურვის, ველოსიპედით სიარულის, ჭადრაკის თამაშის და სხვათა ცოდნა.

ცნობილია, რომ ადამიანი ყოველთვის ვერ შეძლებს მისდიოს ისეთ სახეობებს, როგორიც არის კრივი, ჭიდაობა, ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი და სხვ. ზმირად აღნიშნულ სახეობებში ძველთა განთქმული სპორტსმენები, ანებებენ რა თავს სპორტულ მოღვაწეობას, მთლიანად სცილდებიან სპორტს და კარგავენ არა მარტო ფორმას, არამედ სპორტსმენის სახესაც, რის შენახვასაც ღრმა სიბერემდე ჩოგბურთი შეუწყობს ხელს.

რა არის ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორი ჩოგბურთის ფართოდ გავრცელებისათვის? პირველ რიგში სათანადო სპორტული ბაზების სიმცირე, რა თქმა უნდა, სპორტის ამ სახეობის პროპაგანდის ცუდ ორგანიზაციასთან ერთად. საქმე ის არის, რომ ჩოგბურთისათვის ბევრად მეტი მოედანია საჭირო, ვიდრე სხვა თამაშებისათვის, რომ იგი მასობრივი და პოპულარული სახეობა გახდეს. გარდა ამისა, ეს მოედნები უნდა იყოს მოთავსებული როგორც ქალაქის ფარგლებში, ისე ქალაქგარეთაც და საკურორტო ზონებში. კორტების კომპლექსი უნდა იყოს ქალაქის ყველა რაიონში. შესაძლებლობის მიხედვით მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ქალაქის „თავისუფალი" ადგილები (სანაპაირები, დიდი ეზოები, პარკები, ლისის ტბისა და თბილისის ზღვის მიდამოები). სავალალოა, რომ საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში და კურორტებშიც კი ჩოგბურთის კორტები იშვიათობას წარმოადგენენ. ასევე სამწუხაროა, რომ ნაკლებად ზრუნავენ არსებული ბაზების გაუჯარობაზე. თბილისის ცენტრალური კორტები („დინამოსი" — სანაპიროზე 8 კორტით და მარჯანიშვილის ქუჩაზე — 4 კორტი) ძალზე გადატვირთულია და, მიუხედავად იმისა, რომ არის იქვე ტერიტორია მათ გასაფართოებლად, ეს მაინც ვერ იქნა და ვერ მოხერხდა.

ბევრის მთქმელია ისიც, რომ ზამთრის პირობებში საგარჯიშოდ თბილისში არ არის დახურული სპეციალური კორტი. გაუთბობელ ადგილებში ამ ბევრ აგრეთვე არსებულ კორტებზე ხელოვნური განათების მოწყობა.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენი რესპუბლიკის შესანიშნავ კლიმატურ პირობებს, არის ყველა პირობა, რომ სახელმწიფო და სპორტული ორგანიზაციების ქმედითი ღონისძიებებითა და სათანადო პროპაგანდის მეშვეობით საქართველომ, როგორც დიდი სპორტული კულტურის ტრადიციულმა რესპუბლიკამ, ერთ-ერთმა პირველმა გაუხსნას ფართო გზა ჩოგბურთს, უახლოეს ხანებში გახადოს იგი სპორტის ნამდვილ სახალხო სახეობად და ჩააყენოს ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში.

ვ. ლეკიშვილი.

პროფესორი, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ენდოკრინოლოგიის კათედრის გამგე.

ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა...

ერთმა გოლმა გადაწყვიტა

გუშინ მოსკოვში შედგა სსრ კავშირისა და შვეიცის პირველ ნაკრებთა მატჩი ფეხბურთში.

პირველ ტაიმში წარმატება სტუმრებს ხვდათ 1:0. ეს ბურთი 29-ე წუთზე ეკლუნდმა გაიტანა. მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ბოლო წუთებში საბჭოთა ფეხბურთელები ინარჩუნებდნენ გარკვეულ უპირატესობას, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლეს. გიმარჯვეს შვეიცარიელებმა 1:0.

მეცხრე პროფკავშირული

დღეიდან მატულობს პროფკავშირთა სპარტაკიადის ტემპი. ასპარეზობები ერთდროულად მიმდინარეობს მოსკოვსა და ლენინგრადში, რიგასა და კაუნასში, ბაკოვსა და სხვა ქალაქებში.

აკრობატიკაში გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები. ბატუტზე სტომბში გაიმარჯვეს: ქალთა შორის — ნ. კოვშოვამ, ვაჟთა შორის — ი. ტოკარმა. კალათბურთელ ვაჟთა შორის რიგის ვეფ-ის და თბილისის „ბურევესტნიკის" მატჩში გაიმარჯვეს თბილისელებმა 73:68 (36:38). თანამედროვე ხუთჭიდში ფარიკაობის შემდეგ თანაბარი ქულებით (980) ლიდერები არიან გ. აფახასიევი და ვ. მინეევი.

არმიელ სპორტსმენთა ფორუმზე

კიევში გრძელდება მომძმე არმიების სპორტსმენთა სპარტაკიადა.

ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა შორის უძლიერესი იყო რუმინელი შტანგისტი ბ. ფიცი — 417,5 კილოგრამი. მეორე საპრიზო ადგილი საბჭოთა ძალოსანმა ვ. ლავრუხინმა დაიკავა — 402,5 კილოგრამი. მოკრივეთა ასპარეზობის მეოთხედფინალში საინტერესო გამოდგა ოლიმპიური ჩემპიონის მ. ვოლკეს (გდრ, მეორე ქვესაშუალო წონა) და ვ. მუსალიმოვის შეხვედრა. წარმატება პირველს ხვდა.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პირველი ადგილი დაიკავა გ. კულიკოვმა. — 55,7 წამი. ნებისმიერი შაშხანის სამი მდგომარეობიდან სროლაში გაიმარჯვა ბ. მელნიკმა — 1152 ქულა. ჩვენმა ფრენბურთელებმა მოუგეს ბულგარეთის გუნდს 3:0, ხოლო ხელბურთელებმა წააგეს (15:21) რუმინეთის გუნდთან. ი. ლუსისმა შუბი ტყორცნა 86 მეტრ და 36 სანტიმეტრზე.200 მეტრი ბ. სავრუკმა გაირბინა 20,7 წამში.

ჭადრაკის მერიდიანებზე

დრეზდენი. თუმცა სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა სტუდენტთა საპაერაო ოლიმპიადაზე მხოლოდ სამი შეხვედრა გამართა, ხოლო მისმა მთავარმა მეტოქეებმა წინასწარ შეჯიბრებებში რუმინელებმა — ოთხი, ჩვენი გუნდი ლიდერობს პირველ შესარჩევ ჯგუფში. საბჭოთა მოჭადრაკეებმა მესამე შეხვედრა გამართეს სწორედ რუმინელებთან და ერთი გადადებული პარტიის შედეგის მიუხედავად, უკვე გაინაღდეს გამარჯვება (2,5:0,5) — ზედიზედ მესამეჯერ. ახლა სსრ კავშირის ნაკრებ გუნდს 10 ქულა აქვს 12 შესაძლებელში. ამასთან —ერთი გადადებული შეხვედრა.

სოფია. იუგოსლავიის ამ ქალაქში გრძელდება საერთაშორისო საპაერაო „სოლიდარობის ტურნირი". მეხუთე ტურში ხოლ-ოფმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა იუგოსლავ მატულოვიჩთან, სმისლოვმა გადადო შეხვედრა სოფიუკასთან (აგრეთვე იუგოსლავია). ახლა ხოლმოვს 3 ქულა აქვს, სმისლოვს — 2 ქულა და ერთი. გადადებული შეხვედრა. ასპარეზობას კი ლიდერობენ ულმანი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და ჩოკილტია (რუმანეთი), რომლებსაც 3,5-3,5 ქულა აქვთ. (საქდესი).

რამდენიმე სტრიქონით

● **ოდესაში** „დინამოს" სპარტაკიადაზე გ. მიტროხინამ 200 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა დრო 26,9 წამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. ეს შედეგი აღემატება მსოფლიოს ოფიციალურ მიღწევას.

● **ესპანეთის** ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდი მეხუთეჯერ გაიგა ბოლოს მფლობელი იუნოორთა შორის. ფინალში ესპანელებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის გუნდი.

რ ა დ ი ო

პარასკევი, 8 აგვისტო

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — დილის კონცერტი, 08.30 — პოპულარული საოპერო მუსიკა, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.05 — ა. ოსტროვსკი. სიმღერები, 11.45 — საცეკვაოები ქართული ოპერებიდან, 12.25 — მენდელსონი. საფორტეპიანო კვარტეტი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ო. თაქთაქიშვილი. ვოკალურ-სიმფონიური ნოველა ჯარისკაცი", 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. გ. თავაძე „სადაც ბელადი დაიბადა", 18.10 — მსუბუქი მუსიკა, 18.45 — ს. პროკოფიევი. ვოკალური ზღაპარი „საძაგელი ინვის ჭკვიანი", 19.00 — გადაცემა ანტირელიგიურ თემაზე. „რელიგია და საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმები", 19.15 — ს. ციხაძე. მუსიკა კინოფილმებიდან, 19.45 — ა. მეკბერიძის კონცერტი, 20.30 — რადიოჟურნალი „ჯანმრთელობა", 21.00 — „ძალისპირული", 21.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით. მეგობრები! 22.00 — გ. შატბერაშვილი. ლექსები და მოთხრობა „ჩემს ძველ სახლში", 22.50 — ი. გეჯაძე. საფორტეპიანო დუეტი „ლხინი სოფლად", 23.30 — ლეონკავალო. ნაწყვეტები ოპერიდან „ჯამბაზები", 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

7 აგვისტო

18.05 — ახალი ამბები, 18.10 კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ველური ძაღლი დინგო", 19.45 — გადაცემა — „მიწისქვეშა სასახლეები", 20.00 — კინონარკვევი, 20.25 — გადაცემა „სოზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე", 20.40 — რეგეგ ლაღიძის სიმღერები, 21.45 — „მოიმბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.50 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ბანაკი".

კ ი ნ ო

7 აგვისტო

რუსთაველის სახელობის. ამირანი (საბაფხულო), ოქტომბერი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი (საბამთრო), გაბაფხული, კოლხიდა (საზამთრო), პუეტხნოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), სპორტი, ეკრანი — „მოიმბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.50 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ბანაკი".

7 აგვისტო

სერენადა დიდი სიყვარულისა, ამირანი (საზამთრო) — **ლასლო ამბრუშის საქმე,** საქართველო (წმენდა დარბაზი), სპარტაკი, პუეტხნოვის სახელობის კულტურის სახლი (საბაფხულო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი. — **ყველს უფსკრულისკენ მივყავართ,** ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **ცეზარი და დეტექტივი,** საქართველო (საბაფხულო), 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — **ათასვერსიანი გზა,** ისანი (საბაფხულო); ვაკის პარკი — **აჯანყებულნი,** 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), კინოლეგენდა (საბამთრო) — **განსაკუთრებული ამბავი,** 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი, და საბაფხულო) — **პოემა ქვაში** (I, II სერია), 26 კომისრის სახელობის (საბაფხულო), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საბამთრო) — **ლონონია ლაფინერი,** გორკის სახელობის კულტურის სახლი (საბამთრო) — **დამაჯერებელი მტკიცებანი,** თბილისგზავირი, ოზბეგი (მეორე დარბაზი და საბამთრო) — **ოთხი რიალი,** თინამგზავრი — **მარჯვედ მოეწყო** (7, 9 ს.), **ოსკარი** (4, 5-30 წ.) კომეკავშირელი, ნაკადული, ოფიცერთა სახლი — **ქალაშვილების მოტაცება,** კომკავშირელი — **ანიჩკა** (10, 12 ს.), ნაკადული — **მაპტუმყოფელი,** ოფიცერთა სახლი — **ხან-ელ-ხალილის უბანში.**

რედაქტორი

დ. მგელიშვილი.

სცენაზეა თვითმოქმედება

ვაჭრობის მუშაკთა მხატვრული თვითმოქმედების II რესპუბლიკური დათვალიერება

კომბინატის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (გუნდის ხელმძღვანელი კ. კვანტარაძისა, ქორეოგრაფი გ. კეშელავა), ზუგდიდის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (ხელმძღვანელი შ. ბიგვავა, ქორეოგრაფი რ. გულია), ახალციხის ვაჭრობის მუშაკთა ვოკალური ჯგუფის (შ. ალთუნაშვილის ხელმძღვანელობით) შთამბეჭდავი გამოსვლები.

შესრულების მაღალი კულტურით გამოირჩეოდა თბილისის № 2 კვებვაჭრობის ვოკალური ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს პ. ბერიშვილი, აგრეთვე აბრაოოკავშირის კლუბთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი — საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატი. გუნდის ხელმძღვანელია ს. მიქელთაძე, ქორეოგრაფი — გ. ჩიხლაძე.

ხალხური სიმღერების კოლორიტი და მომხიბვლელობა ქართული ცეკვების ცეცხლოვანი ტემპერამენტი გადავიშალეს ცხაკაიას სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა ლ. მიმინოშვილის ხელმძღვანელობით, საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ხელმძღვანელი ნ. ხვიტია, ქორეოგრაფია ა. ფავლენიშვილი).

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ თბილისის ცენტრალური უნივერმაღის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობს ო. ბერძენიშვილი.

ასევე კარგად გამოვიდნენ საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველოს ვოკალური ჯგუფი „მეგობრობა" (ხელმძღვანელი კ. ბერსანაძე), თბილისის გასტრონომვაჭრობის მომდერალთა გუნდი მ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით, მახარაძის სახვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი (ხელმძღვანელი ჯ. ჭელიძე, ქორეოგრაფი ვ. ბეგრელაძე).

აღსანიშნავია აფხაზეთის ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლის ნიჭიერი კოლექტივი — ინსტრუმენტალურ-ოკალური ანსამბლი „ამანი"-67" ვაჭრობის მუშაკთა მხატვრული თვითმოქმედების მეორე რესპუბლიკური დათვალიერება, რომელიც მიეძღვნა ლენინის დაბადების 100 წლისთავს, მაღალ დონეზე ჩატარდა.

ნანა ჯაფარიძე.

სურათზე: ცხაკაიას სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „რძალ-დედამილი". ფოტო ბ. გოგოხიანი.

ნაირ-ნაირი

მილიონი ფურცელი ერთ წიგნის კარადაში

ბიბლიოფილებს ახლა შეუძლიათ აღარ აწუხებდეთ, თუ სად მოათავსონ მათთვის საჭირო ათასობით ტომი. წიგნების მიკროფოტორეპროდუცირება საშუალებას მისცემს მათ ერთ კარადაში მოათავსონ მილიონი ფურცლის მოცულობის მიკრობიბლიოთეკა ან მიკროარქივი. ასეთ შეკვეთებს ასრულებს სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა, რომელიც ყოველწლიურად აწვდის მკითხველებს 7 მილიონ პოზიტივს და 8 მილიონ ნეგატივს, რომლებიც შესრულებულია მთელი წიგნებიდან ან ცალკეული ფურცლებიდან და ილუსტრაციებიდან.

ახლახან გამოსულ წიგნში „კითხვის კულტურა" (გამომცემლობა „ენიგა") საბჭოთა მეცნიერი ბიბლიოლოგი ა. პ. პრიმაკოვსკი წერს, რომ ახლა მუშავდება ულტრამიკროტექნიკის გამოცემისა და კითხვის სისტემები. წიგნების მიკროფილმირების ამ წესით მრავალტომიანი ენციკლოპედია დაიკავებს ადგილს, რომელიც ერთი ქიბისთავის ოდენა იქნება.

იცით, თუ არა...

ყველაზე მოკლე

მსოფლიოში ცოლ-ქმრის გაყრის ყველაზე მოკლე პროცედურა არსებობს ლიბიაში. ყველა სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, აქ საკმარისია ერთ-ერთმა მეუღლემ მოწმეთა თანდასწრებით სამჯერ წარმოთქვას ერთადერთი სიტყვა — „ვიყრები", რომ ქორწინება გაუქმებულად ჩაითვალოს. („ტრუდ").

ყველაზე ძველი

იაპონიაში კუნძულ იაკუსიმოზე იზრდება კედარი, რომელიც 7.200 წლისაა. მისი ტანის გარშემოწერილობის სიგრძე 16 მეტრია. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ, როგორც ჩანს, ეს ყველაზე ძველი ხეა დედამიწის ზურგზე.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განუოფილებებისა: ბერტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-97-59, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01 ინფორმაციის — 93-18-90, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54 განცხადებების — 93-93-90.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 07550

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.